პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ Орган Центрального и Тбилисского комитетов КП (б) Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოცემის 32-ე წელი

შაბათი, 16 თებერვალი, 1952 წ. № 40 (9200). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია

სახალხო სასამართლოთა უმნიშვნელოვანესი ამოცანა — მოწინავე (1-ლი გვერდი).
დარბაზობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში (1-ლი გვერდი).
მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტში და სსრ კავშირის მწერალთა კავშირში (1-ლი გვერდი).
გავადიდებთ პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას (1-ლი გვერდი).
პარტიული ორგანიზაცია და წარმოების რაციონალიზატორები (მე-2 გვერდი).
დამახინჯებანი თელავის სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში (მე-2 გვერდი).
ნასაკირალის ჩაის ფაბრიკა — ხარისხოვანი პროდუქციის საწარმო (მე-3 გვერდი).
ვლ. გელაშვილი — მეცხოველეობის მეგობარი (მე-3 გვერდი).
ერთი კოლმეურნეობის საანგარიშო კრებაზე (მე-3 გვერდი).
რაისაბჭოს აღმასკომი და მისი განყოფილებები (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სახალხო სასამართლოთა უმნიშვნელოვანესი ამოცანა

კომუნისტური საზოგადოების აშენებისა და ჩვენი სამშობლოს თავდაცვის განმტკიცების საქმეში მთავარ იარაღს წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოს მოღვაწეობის შემდგომი გაძლიერება და გაფართოება. სოციალისტური სახელმწიფოს ორგანოების სისტემაში მეტად სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა სასამართლოს, რომელიც მთელი თავისი საქმიანობით მოვალეა ხელი შეუწყოს ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე სასამართლო წარმოადგენდა პროლეტარიატის დიქტატურის მძლავრ ბერკეტს, რომლის დახმარებითაც ჩვენს ქვეყანაში მტკიცდებოდა სოციალისტური მართლწესრიგი და კანონიერება. საბჭოთა სასამართლოს დაკისრებული აქვს სოციალისტური სახელმწიფოს და საბჭოთა მოქალაქეების ინტერესთა დაცვის მაღალი ამოცანა.

საბჭოთა სასამართლო მთელი თავისი საქმიანობით აწარმოებს სსრ კავშირის მოქალაქეთა აღზრდას სამშობლოსადმი და კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, საბჭოთა კანონების ზუსტი და განუხრელი შესრულების, სოციალისტური საკუთრების წმიდად დაცვის, შრომის დისციპლინის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი პატიოსანი დამოკიდებულებისა და სოციალისტური თანაცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

საბჭოთა სახალხო სასამართლოს მზრუნველობის განსაკუთრებულ საგანს შეადგენს საბჭოთა წყობილების ეკონომიური საფუძვლის — სოციალისტური საკუთრების — დაცვის უზრუნველყოფა. სახალხო სასამართლო სოციალისტური საკუთრების დაცვისა და განმტკიცებისათვის ბრძოლით უაღრესად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ფუნქციას ასრულებს.

დიდი სტალინი ყოველთვის ასწავლიდა და ასწავლის პარტიას, ჩვენს ხალხს შეუნელებელი ბრძოლა აწარმოონ სახელმწიფო და საზოგადო ქონების მტაცებლებისა და ქურდების წინააღმდეგ, რადგან **„ქურდი, რომელიც სახალხო დოვლათს იტაცებს და ძირს უთხრის სახალხო მეურნეობის ინტერესებს, იგივე ჯაშუში და გამცემელია, თუ უარესი არა“.**

სახალხო სასამართლოებს ეკისრებათ განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანა: დაიცვან სოციალისტური საკუთრება დატაცებისა და ყოველგვარი ხელყოფისაგან, საბჭოთა კანონიერების მთელი სიმკაცრით დასაჯონ საზოგადოებრივი საკუთრების დამტაცებლები და ქურდები, გამფლანგველები და მათი ხელისშემწყობნი.

როგორც ფაქტები ცხადყოფენ, საქართველოს სასამართლო ორგანოების ზოგიერთ მუშაკს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ სავსებით არა აქვს შეგნებული ამ ამოცანის მთელი სერიოზულობა და უდიდესი მნიშვნელობა. ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა სოციალისტური საკუთრების დამტაცებელი დაუსჯელი რჩება, ან მის მიმართ სახალხო სასამართლოს ლმობიერი განაჩენი გამოაქვს. საქართველოს სასამართლო ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, აღინიშნა, რომ უკანასკნელ დროს მთელმა რიგმა სახალხო სასამართლოებმა შეასუსტეს სოციალისტური საკუთრების დამტაცებლებისა და ქურდების მიმართ მკაცრი დასჯითი ღონისძიებების განხორციელება, რითაც მნიშვნელოვანი სიძნელეები შეუქმნეს რევოლუციური კანონიერების განმტკიცების საქმეს. არის შემთხვევა, როცა სასამართლო ბოლომდე არ მიჰყავს საქმეს, როცა საქმე ეხება გაფლანგული ან განიავებული სახელმწიფო სახსრების უკანვე დაბრუნების საკითხს.

საბჭოთა სასამართლო ორგანოების ყველა მუშაკმა მთელი პასუხისმგებლობით უნდა შეიგნოს, რომ **„ჩვენი დროის რევოლუციური კანონიერება თავისი მახვილით მიმართულია... ქურდებისა და მავნებლების წინააღმდეგ საზოგადოებრივ მეურნეობაში, ხულიგნებისა და საზოგადოებრივი საკუთრების მტაცებლების წინააღმდეგ. მაშასადამე, რევოლუციური კანონიერების ძირითადი საზრუნავი ჩვენს დროში არის საზოგადოებრივი საკუთრების დაცვა და არა სხვა რამ“** (ი. სტალინი).

სასამართლო ორგანოების მუშაკებს კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ სახელმწიფო და კოოპერაციული ქონების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლა ნიშნავს არა მარტო იმას, რომ ქურდები დასაჯონ კანონის მთელი სისასტიკით. ეს ნიშნავს აგრეთვე იმას, რომ გამოააშკარავონ ის მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობენ დატაცებას, და ბოლშევიკურად მუშაობდნენ ამ მიზეზების მოსასპობად. ეს ნიშნავს აგრეთვე დროზე ამხილონ და აღკვეთონ იმ ქურდებისა და მუქთახორების ყოველგვარი ყალთაბანდობა და ფანდები, რომლებიც ხელყოფენ სოციალისტურ საკუთრებას.

ამ მიმართულებით სახალხო სასამართლოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ერთერთ პირობას ამომრჩევლებთან სახალხო სასამართლოების კავშირის განმტკიცება წარმოადგენს. ამ საქმეში სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება მოსამართლეთა ანგარიშგებას ამომრჩევლებისადმი. ანგარიშგება უნდა ეწყობოდეს სისტემატურად, რაც ხელს შეუწყობს კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლას სასამართლოს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსავლინებლად. სახალხო მოსამართლემ უნდა გამოიყენოს ამომრჩეველთა კრიტიკული შენიშვნები და წინადადებანი სახალხო სასამართლოს მუშაობის გასაუმჯობესებლად.

სასამართლო ორგანოების მუშაკთა სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს სახალხო მსაჯულებთან მუშაობის გაძლიერება. როგორც ცნობილია, სახალხო მსაჯულთა შემადგენლობაში არჩეული არიან ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ადამიანები—სტახანოველი მუშები და კოლმეურნეები, ინტელიგენტური შრომის ადამიანები. ბევრ მათგანს არა აქვს იურიდიული განათლება. ამიტომ საჭიროა მათთან სისტემატური მუშაობა, რათა სახალხო მსაჯულებს ზედმიწევნით შეასწავლონ საბჭოთა კანონები, სასამართლო წყობილების ძირითადი საკითხები, მათი უფლება-მოვალეობანი და სხვ. სასამართლოს საქმიანობაში სახალხო მსაჯულთა აქტიური მონაწილეობა ბევრად არის დამოკიდებული მათთან სახალხო მოსამართლეთა ნაყოფიერ მუშაობაზე.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ ის გარემოება, რომ სასამართლო ორგანოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა ერთერთი ძირითადი მიზეზი არის სასამართლოს ზოგიერთი მუშაკის იდეურ-პოლიტიკური მომზადების დაბალი დონე. ამიტომ სასამართლო ორგანოების მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე სისტემატური ზრუნვა მათი ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს.

საბჭოთა სახალხო სასამართლო სოციალისტური საკუთრების დაცვის სადარაჯოზე დგას. ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, მთელი ჩვენი ხალხი მისგან მოითხოვენ ფხიზლად დაიცვას საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესები, გადაჭრით აღკვეთოს სახალხო მეურნეობისათვის ზარალის მიყენების ყოველგვარი ცდა და ამით ჩვენს მშობლიურ სახელმწიფოს შეუნარჩუნოს მნიშვნელოვანი მატერიალური ფასეულობანი.

წარმატებით რომ შევასრულოთ აღნიშნული ამოცანები, ამისათვის **„საჭიროა, რომ თვითეული მუშა, თვითეული პატიოსანი გლეხი ეხმარებოდეს პარტიასა და მთავრობას სახელმწიფო რეზერვების დატაცებასთან და დაქსაქსვასთან ბრძოლაში, ქურდებისა და თაღლითების გაძევებაში, რა ნილაბსაც უნდა იფარებდნენ ისინი“** (ი. სტალინი).

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოები შეძლებენ განუხრელად განახორციელონ სოციალისტური მართლმსაჯულება და მტკიცედ დაიცვან სახელმწიფო და საზოგადო ქონება დატაცებისა და ხელყოფისაგან.

ახალი წიგნები

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოუშვა მ. ი. კალინინის სტატია „ვ. ი. ლენინის ნაშრომის შესახებ „რანი არიან — ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“

* * *

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა ბროშურა: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1951 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ“.

ბროშურა გამოშვებულია 200 ათას ცალად. (საქდესი).

დარბაზობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში

14 თებერვალს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-ნმა ჯან ვენ-ტიანმა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მეორე წლისთავის გამო დარბაზობა გამართა.

დარბაზობას დაესწრნენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. მ. მოლოტოვი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. მიქოიანი, რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ნ. ჩერნოუსოვი, სსრ კავშირის მინისტრები ა. გ. ზვერევი, ბ. პ. ბეშჩევი, ნ. დ. პსურცევი, ნ. ვ. ნოვიკოვი, ვ. ნ. სტოლეტოვი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. ა. ვოლინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, საბჭოთა კავშირის მარშლები ვ. დ. სოკოლოვსკი, ლ. ა. გოვოროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ა. გრომიკო, ვ. ა. ზორინი, ა. ე. ბოგომოლოვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილეები ს. ა. ბორისოვი, ა. ა. პავლოვი, კ. ი. კოვალი, ავიაციის მარშლები ს. ფ. ჟავორონკოვი, ნ. ს. სკრიპკო, არმიის გენერლები გ. კ. მალანდინი, ვ. ვ. კურასოვი, ადმირალები ნ. ე. ბასისტი, ს. ე. ზახაროვი, გ. ი. ლევჩენკო, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, სსრ კავშირის სლავთა კომიტეტის თავმჯდომარე ა. ს. გუნდოროვი, გენერალ-პოლკოვნიკები ფ. ფ. კუზნეცოვი, ა. ს. ჟელტოვი, ე. ნ. პრეობრაჟენსკი, ვიცე-ადმირალი მ. ა. ვორონცოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის სამხედრო სამინისტროს, სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები.

ჩინეთის მხრივ დარბაზობას დაესწრნენ: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ბ-ნი შა ჩენ-ლი, საელჩოს მრჩევლები ბ-ნები გე ბაო-ციუანი, ჯან გუანი, სამხედრო ატაშე გენერალ-მაიორი დი ხიე, სავაჭრო მრჩეველი ბ-ნი გაო ძინ-შენი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს სხვა წევრები და პასუხისმგებელი თანამშრომლები, ჩინეთის ახალგაზრდობის მხატვრული ანსამბლის ხელმძღვანელი ბ-ნი ჯოუ ვეი-ჯი.

სტუმართა შორის იყვნენ: ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ბ-ნი ა. გრეგორი, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრის მოადგილე ბ-ნი დ. სპახიუ, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ქ-ნი ს. ბლაგოევა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ბ-ნი ს. ბუგიჩი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი ბ-ნი ლიმ ხე, ავღანეთის ელჩი ბ-ნი სულთან აჰმედ ხანი, ბირმის კავშირის ელჩი ბ-ნი მ. ონი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიის მეთაური ბ-ნი რ. აპელტი, ფინეთის დესპანი ბ-ნი კ. სუნდსტრემი, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის დესპანი ბ-ნი ვ. ნატანაილი, შვეიცარიის დესპანი ბ-ნი კ. გორჟე, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული ბ-ნი დ. ადილბიში, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული ბ-ნი დ. ეჩნი, პოლონეთის რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული ბ-ნი ლ. პოგორილესი, ისრაელის სახელმწიფოს დროებითი საქმეთა რწმუნებული ბ-ნი ზ. არგამანი, აგრეთვე საელჩოებისა და მისიების წევრები და უცხოელი კორესპონდენტები. (საქდესი).

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტში და სსრ კავშირის მწერალთა კავშირში

დიდი ფრანგი მწერლის ვ. ჰიუგოს დაბადების 150 წლისთავის მომწყობი საკავშირო კომიტეტის შექმნა

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვენის სესიის გადაწყვეტილებით ამა წლის 26 თებერვალს ყველა ქვეყანაში აღინიშნება დიდი ფრანგი მწერლის ვიქტორ ჰიუგოს დაბადების 150 წლისთავი. ეს დიდად კულტურული ღონისძიება სხვა ასეთსავე ღონისძიებებთან ერთად მიზნად ისახავს ხალხთა შორის კულტურული კავშირის შემდგომ განვითარებას მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტმა და საბჭოთა მწერლების კავშირმა შექმნეს სსრ კავშირში ვიქტორ ჰიუგოს დაბადების 150 წლისთავის მომწყობი საკავშირო კომიტეტი.

საკავშირო კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ: ა. ა. ფადეევი — სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გენერალური მდივანი (კომიტეტის თავმჯდომარე), ი. გ. ერენბურგი (კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე), მ. ა. შოლოხოვი — მწერალი, კ. მ. სიმონოვი — „ლიტერატურნაია გაზეტას“ მთავარი რედაქტორი, მიკოლა ბაჟანი — მწერალი (უკრაინის სსრ), ე. ი. სმილგისი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი (ლატვიის სსრ), ი. ი. ანისიმოვი — პროფესორი, ი. ა. კაიროვი — რსფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ა. ს. ისააკიანი — პოეტი (სომხეთის სსრ), ა. ა. იაბლოჩკინა — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ვ. ი. პუდოვკინი — კინორეჟისორი, ა. ა. ხორავა—სსრ კავშირის სახალხო არტისტი (საქართველოს სსრ), ტ. ლ. შჩეპკინა-კუპერნიკი — რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავისათვის

ველიკიე სოროჩინცი (პოლტავის ოლქი). ნ. ვ. გოგოლის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის კოლექტივმა დაამთავრა მწერლის ცხოვრებისა და ლიტერატურული მოღვაწეობის ამსახველი მოძრავი გამოფენის ექსპოზიციის შედგენა. საქდესის კორესპონდენტთან საუბარში მუზეუმის დირექტორმა ამხ. კოზილენკომ განაცხადა:

— ჩვენ მიერ შექმნილი გამოფენა იგზავნება ველიკიე ბაირაკში, შემდეგ საჟინცში, სოლონცსა და რაიონის სხვა სოფლებში. მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი ამხ. სერდიუკი წაიკითხავს კოლმეურნეობებში ლექციებს, გამართავს საუბრებს ნ. ვ. გოგოლის შემოქმედების შესახებ.

სოფლის საშუალო სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები გოგოლის მუდმივ კუთხეს ქმნიან მწერლის სახელობის კოლმეურნეობის კლუბში. აქ იქნება ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის შრომები, რომლებშიც გამოყენებულია გოგოლის სახეები, ნ. ვ. გოგოლის ნაწარმოებნი და კრიტიკული ლიტერატურა მის შესახებ.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება მარშალ ჩოიბალსანის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

ულან-ბატორი, 14 თებერვალი. (საქდესი). მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება მონღოლი ხალხის განსვენებული ბელადის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მარშალ ჩოიბალსანის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

გადაწყდა მარშალ ჩოიბალსანს დაუდგან ძეგლი ქალაქებში ულან-ბატორსა და ალტან-ბულაკში, დაბა ბულგანში — ბულგანის აიმაკის ცენტრში და ჩოიბალსანის აიმაკის ქალაქ ჩოიბალსანში.

მინისტრთა საბჭომ ჩოიბალსანის სახელი მიაკუთვნა მონღოლეთის მაღაროს, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური არმიის მე-6 მოტომექანიზებულ ბრიგადას, ულან-ბატორის მე-3 ხორონს (ხორონი ქალაქის რაიონია.—რედ.), ბოგნერთა რესპუბლიკურ ბანაკს, ბულგანის სახელმწიფო მეურნეობას.

ქალაქ ულან-ბატორის უნივერსიტეტის ქუჩას დაერქმევა ჩოიბალსანის ქუჩა.

გადაწყდა მემორიალური დაფები გაუკეთონ იმ შენობებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია განსვენებულ მარშალ ჩოიბალსანის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან, გაიხსნას ულან-ბატორში მარშალ ჩოიბალსანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მუზეუმი, ორი წლის განმავლობაში გამოიცეს მარშალ ჩოიბალსანის მოხსენებების, სიტყვებისა და სტატიების სრული კრებული, მომზადდეს და გამოიცეს მარშალ ჩოიბალსანის შესახებ მოგონებათა კრებული, მომზადდეს და მიმდინარე წელს გამოიცეს ჩოიბალსანის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი დასურათებული კრებული, გამოშვებულ იქნას საფოსტო მარკების სერია მარშალ ჩოიბალსანის ხსოვნის აღსანიშნავად.

დაწესდა ჩოიბალსანის სახელობის 3 სტიპენდია სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის.

მიღებულია აგრეთვე დადგენილება განსვენებულ მარშალ ჩოიბალსანის ოჯახის უზრუნველყოფის შესახებ.

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები **თამარ კოპალეიშვილი და მაყვალა მოდებაძე.**

გავადიდებთ პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას

თამარ კოპალეიშვილი
მაყვალა მოდებაძე

თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის. ამ შესანიშნავი შეჯიბრების ინიციატორებად საწარმოში ჩვენ გამოვედით და მიზნად დავისახეთ ქვეყანას მივცეთ მეტი და მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ქსოვილი. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი იყო მქსოველის პროფესიის სისტემატური სრულყოფა, კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება, და ჩვენც მთელი მონდომებით შევუდექით მუშაობას.

შრომის მოწინავე მეთოდების გამოყენებით ჩვენ იმას მივაღწიეთ, რომ ორჯერ და უფრო მეტად შევამცირეთ ძაფის წყვეტის ლიკვიდაციისათვის საჭირო დრო. 3-4 დაზგაზე ვმუშაობთ, გამომუშავების ნორმას გადაჭარბებით ვასრულებთ და მაღალხარისხოვანი კრეპდეშინის ქსოვილს ვუშვებთ.

ჩვენი მუშაობის გამოცდილებას ხალისით ვუზიარებთ ახალგაზრდა ფეიქრებს. ჩვენ მიერ აღზრდილი მქსოველები მ. დუდარევა, ნ. ბანეთიშვილი, დ. მელაძე, ო. ღარიბიანი, ქ. არათანაშვილი და სხვები ახლა ფაბრიკაში ცნობილი სტახანოველები არიან. ისინი საგრძნობი გადაჭარბებით ასრულებენ გამომუშავების ნორმებს და აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს.

— როგორ ვაღწევთ ამ წარმატებებს?—ასეთი კითხვით ხშირად მოგვმართავენ ფეიქრები.

აი როგორ: სამუშაოზე სისტემატურად 15-20 წუთით ადრე ვცხადდებით, გულდასმით ვამოწმებთ დაზგების გამართულობას, ვასუფთავებთ და წესრიგზე მოგვყავს ისინი, ვსინჯავთ მაქოებს, ქსელს, ვასწორებთ ნაწიბურებს. ყურადღებით ვქსოვთ, სწრაფად ვსპობთ ძაფის წყვეტას და უზრუნველყოფთ დაზგების შეუფერხებელ მუშაობას. ყოველივე ეს შესაძლებლობას გვაძლევს მთელი დატვირთვით გამოვიყენოთ სამუშაო დრო, საგრძნობი გადაჭარბებით შევასრულოთ გამომუშავების ნორმა და ავამაღლოთ პროდუქციის ხარისხი.

ფაბრიკაში ინჟინერ თ. კოვალიოვის მეთოდით შეისწავლეს და განაზოგადეს ჩვენი მუშაობის გამოცდილება, მოახდინეს ქრონომეტრაჟული დაკვირვება საწარმოო პროცესზე. მაქოში ძაფის გაყვანისა და ძაფის წყვეტის სწრაფი ლიკვიდაციის ჩვენი მეთოდები წარმატებით შეისწავლეს მქსოველებმა ს. ქჩიანმა, კ. შიროვამ და სხვებმა, რომლებიც ახლა სტახანოვური მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან.

შარშან ათასობით მეტრი ქსოვილი მოვქსოვეთ. პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 45 პროცენტისა 75-88 პროცენტამდე გავადიდეთ. ამასთან საგრძნობი რაოდენობით დავზოგეთ ნართი და შევამცირეთ პროდუქციის თვითღირებულება.

იანვარში პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება კიდევ უფრო გაიზარდა. 21 სტახანოველს მიენიჭა „საუკეთესო ფეიქრის“ საპატიო წოდება.

სასახელო მაჩვენებლებს აღწევენ პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენი ფაბრიკის ახალგაზრდა ფეიქრები ე. ლაშქარაშვილი, ნ. არიტოვა და სხვები, რომლებიც იანვარსა და თებერვალში 45-ის ნაცვლად 54-68 პროცენტ პირველი ხარისხის ქსოვილს უშვებენ.

1952 წელს შემდგომ გავაუმჯობესებთ ჩვენი მუშაობის ხერხებსა და მეთოდებს, რომ უფრო მეტი და მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ქსოვილები მივცეთ საბჭოთა სამშობლოს.

დაზოგეს 8.478 კუბმეტრი სამაგრი მასალა

ჭიათურა. (საქ. კორ.). პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამაგრი მასალის მომჭირნეობით გამოყენებას, ყოველ 1.000 ტონა მარგანეცზე სამაგრი მასალის ხარჯვის შემცირებას. ბიგის გადასაადგილებელი მოწყობილობისა და ბიგის გამოსატაცებელი ჯალამბრის გამოყენებით გასულ წელს ჭიათურელმა მაღაროელებმა 8.478 კუბმეტრი სამაგრი მასალა დაზოგეს.

ამ დარგში კარგად იმუშავა დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა, რომელმაც ყოველ 1.000 ტონა მარგანეცზე 23-ის ნაცვლად 16 კუბმეტრი სამაგრი მასალა დახარჯა და წლის განმავლობაში 4.309 კუბმეტრი ხე-ტყე დაზოგა.

ბიგის გადასაადგილებელ მოწყობილობას და გამოსატაცებელ ჯალამბარს არასაკმაოდ იყენებენ ლენინისა და სტალინის სახელობის მაღაროებში. ლენინის სახელობის მაღაროში ყოველი 1.000 ტონა მარგანეცის გამოღებაზე შარშან ნაცვლად 20 კუბმეტრი სამაგრი მასალისა დახარჯეს 23 კუბმეტრი, ხოლო სტალინის სახელობის მაღაროში — 29 კუბმეტრი. აღნიშნულ მაღაროებში ფართოდ უნდა გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება სამაგრი მასალის ხარჯვის შემცირებისათვის.

პარტიული ცხოვრება

პარტიული ორგანიზაცია და წარმოების რაციონალიზატორები

გასულ წელს ბორჯომის შუშის ქარხნის კოლექტივმა სერიოზული საწარმოო წარმატება მოიპოვა: 106,8 პროცენტით შეასრულა წლიური გეგმა, დაზოგა 352 ტონა ნედლეული, 1.392 ტონა საწვავი, 32,9 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, ამასთანავე პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიიღო 3.554 ათასი მანეთი მოგება და 794.800 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

გასული წლის მეოთხე კვარტალში მოპოვებული წარმატებების მიხედვით შუშის ქარხნის კოლექტივი გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. საკავშირო პროფსაბჭომ და კვების მრეწველობის სამინისტრომ მას მეცხრედ დაუტოვეს გარდამავალი წითელი დროშა და მისცეს პირველი ფულადი პრემია 75.000 მანეთი.

ქარხნის კოლექტივის მიერ მოპოვებული წარმატებები იმის შედეგიც არის, რომ ქარხნის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ა. ზაზიკაშვილი) სერიოზულ ყურადღებას აქცევს წარმოების რაციონალიზატორებს, ყოველდღიური ურთიერთობა აქვს მათთან და ქმედით დახმარებას უწევს მათ ყოველი ახალი რაციონალიზატორული წინადადების განხორციელებაში. შარშან ბორჯომის შუშის ქარხანაში დაინერგა 22 რაციონალიზატორული წინადადება, რამაც ძირეული გაუმჯობესება შეიტანა წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში, ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების ზრდას, თვითღირებულების შემცირებას, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

მექანიკური სამქროს რაციონალიზატორმა ი. სამხარაძემ გაუმჯობესება შეიტანა ბოთლების გამოსაცდელი წნეხის კონსტრუქციაში—შეიმუშავა კომბინირებული წნეხი. ამხ. სამხარაძის რაციონალიზატორული წინადადება პარტიული კრების მსჯელობის საგანი გახდა. კრებაზე გამოსულმა რაციონალიზატორებმა ვ. ტოგიშვილმა, ა. ნადირაშვილმა, ა. არევაძემ და სხვებმა მაღალი შეფასება მისცეს სამხარაძის რაციონალიზატორულ წინადადებას. პარტიულმა ორგანიზაციამ და ქარხნის ადმინისტრაციამ ყველა პირობა შექმნეს სამხარაძის წინადადების წარმოებაში დანერგვისათვის, რამაც წარმოებას დიდი სარგებლობა მისცა. თუ წინათ ბოთლში საცდელად შეშვებული წყლის შეკუმშვას ხელის ტუმბოს საშუალებით ახდენდნენ, რაც იწვევდა წუნს და ზოგჯერ საფრთხესთანაც იყო დაკავშირებული, ახალ კომბინირებულ წნეხზე ბოთლების გამოცდა წარმოებს უწუნოდ, რაც თავიდან გვაშორებს ბოთლის გაზზარვის საშიშროებას და ერთიორად ამსუბუქებს ფიზიკურ შრომას.

რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს მუშაობაში ხელს უშლიდა ის, რომ მოწყობილი არ იყო ტექნიკური კაბინეტი. პარტიულმა ორგანიზაციამ განიხილა ტექნიკური კაბინეტის მოწყობის საკითხი. ორგანიზაციის დადგენილება ადრევე შესრულდა. ტექნიკური კაბინეტისათვის გამოინახა ცალკე ოთახი. პარტიული ორგანიზაციის დადგენილების საფუძველზე ქარხნის მთავარმა ინჟინერმა გ. ლომიძემ ტექნიკური კაბინეტი მოამარაგა მოდელებით, ნახაზებით და ხელსაწყო-იარაღებით. პარტიული ორგანიზაციის დავალებით ინჟინერმა ლომიძემ რამდენჯერმე მოაწყო რაციონალიზატორთა შეკრება და ესაუბრა მათ წარმოების ტექნოლოგიის საკითხებზე. ასეთივე საუბრები მოაწყეს ინჟინრებმა შ. დვალაძემ, ს. ჭანკვეტაძემ და სხვებმა. წარმოების რაციონალიზატორებს თავიანთ თავზე მუშაობის მეტი შესაძლებლობა მიეცათ.

მექანიკური სამქროს ზარალმა ს. პეტროსიანმა შეიმუშავა ახალი ავტომატური მანქანის ერთ-ერთი რთული ნაწილის — „საყელური რგოლის" კონსტრუქცია. მისი უპირატესობა ის არის, რომ გვაძლევს ბოთლის ყელის ზუსტ დაყალიბებას, სამჯერ ამცირებს დროს და იძლევა ერთი და იმავე ნაწილის სხვადასხვა პოზიციებზე გამოყენების საშუალებას. საკომპრესორო სამქროს ოსტატმა ნ. ლაბკომ წამოაყენა ორი წინადადება. ერთი ეხებოდა კომპრესორის გაუჩერებლად დაზეთვას, ხოლო მეორე—ავტომატური მანქანის ვაკუუმტუმბოს მუშაობის გაუმჯობესებას. სამივე ამ წინადადების ვარგისიანობისა და გამოცდისათვის პარტიულმა ორგანიზაციამ გამოჰყო სპეციალისტთა კომისია. კომისიის დასკვნის შემდეგ ეს წინადადებანი წარმოებაში დაინერგა.

გასული წლის მესამე კვარტალში ქარხანაში აითვისეს ბოთლების დამყალიბებელი ათსახელურიანი ახალი ავტომატური მანქანა. დაყალიბებული ცხელი ბოთლების მანქანიდან გამოღება ძნელ პირობებში ხდებოდა. ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ კონკურსი გამოაცხადა ისეთ წინადადებაზე, რომლის განხორციელებაც შეცვლიდა მუშის ამ მძიმე შრომას. კონკურსში მონაწილეობა მიიღო ხუთმა რაციონალიზატორმა. მათი წინადადებების გამოცდის შედეგად კომისიამ მოიწონა უფროსი ოსტატის ზ. გელაშვილის წინადადება, რაც მიმდინარე წელს უკვე დაინერგა წარმოებაში. მისი წინადადების ღირსება ის არის, რომ დაყალიბებული ბოთლების გამოცლა (გამოღება) ავტომატურად ხდება. ამ მოწყობილობის კონსტრუქცია მარტივია, აკმაყოფილებს მოთხოვნილებას სრულიად ათავისუფლებს მუშას მძიმე შრომისაგან და, რაც მთავარია, ავტომატის ბოთლის დამყალიბებელ ფორმას გაცვეთისაგან იცავს.

რაციონალიზატორების წახალისების მიზნით ქარხანაში შემოღებულია რაციონალიზატორთა დაფა. რაციონალიზატორთა შემოქმედების ფართო პოპულარიზაციას ეწევიან საქარხნო კედლის გაზეთი „წითელი მეშუშე", აგრეთვე ქარხნის მოწინავე აგიტატორები კ. წიქორიძე, ს. გოგოლაძე, მარგალიტა ელისაბედაშვილი, მარიამ გელაშვილი და სხვები.

ბორჯომის შუშის ქარხნის პარტიული ორგანიზაცია მიღწეულით არ უნდა დაკმაყოფილდეს. რაციონალიზატორებთან მუშაობის გაძლიერებით მან უნდა მიაღწიოს შრომის ნაყოფიერების შემდგომ ამაღლებას, ახალ საწარმოო წარმატებათა მოპოვებას.

ვ. გურგენიძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი



თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა. სურათზე: სტახანოველი მხვეველი ნ. ჩანჩიბაძე, რომელიც დიდი გადაჭარბებით ასრულებს ყოველდღიურ ნორმას და მხოლოდ პირველხარისხოვან პროდუქციას უშვებს.

ბინათმშენებელთა მიღწევები

ქუთაისი. (საკ. კორ.). საავტომობილო ქარხნის საბინაო მშენებლობის უბნის კოლექტივი ენერგიულად შრომობს მეავტომობილეთა კეთილმოწყობილი სახლების ასაგებად. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისა და მოწინავეთა მუშაობის მეთოდების დანერგვით მშენებლობის გეგმები სისტემატურად გადაჭარბებით სრულდება.

ქარხნისათვის საცხოვრებელი ფართობის გადაცემის გასული წლის გეგმა შესრულებულია 104 პროცენტით. იანვარ-თებერვალშიც მშენებლები მაღალნაყოფიერად მუშაობენ. გამრავლდა იმ სტახანოველთა რიცხვი, რომლებიც დღეში რამდენიმე ნორმას ასრულებენ. დურგლები ა. დგებუაძე, ა. ჩიკვაშვილი, ნ. ჟოლუდევი, კალატოზები გ. გოშაძე, ი. ტერელაძე, ვ. კუროჩკინი და ბევრი სხვა სტახანოველი ორმაგად ასრულებენ დავალებას.

ბინათმშენებელთა წარმატებებს დიდად უწყობს ხელს მუშების მიერ მეორე და მესამე პროფესიების ათვისება. ბევრი კალატოზი მლესავის პროფესიას დაეუფლა, მრავალი დურგალი მოხაიკის კარგი სპეციალისტი გახდა, ხოლო მლესავებმა სამღებრო საქმე აითვისეს. ამჟამად კვალიფიციურ მუშათა რიცხვი მშენებლობაზე 75 პროცენტამდე აღწევს, ხოლო გასული წლის დასაწყისში მათი რაოდენობა 15-20 პროცენტს არ აღემატებოდა.

ბინათმშენებლებმა წელს მეავტომობილეებს უნდა აუგონ 7 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაც თითქმის ორნახევარჯერ აღემატება შარშანდელ დავალებას.

მექანიზატორთა შეჯიბრება

გურჯაანი. (სპეც. კორ.). წელს მექანიზატორები ჩვეულებრივზე უფრო ადრე მომზადებული გავიდნენ საკოლმეურნეო მინდვრებზე. გურჯაანისა და ველისციხის მტს-ების მუშაკები ბეჯითად მუშაობენ. ისინი იბრძვიან იმისათვის, რომ მინდვრის სამუშაოთა თებერვლის გეგმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 31-ე წლისთავისათვის შეასრულონ.

ველისციხის მტს-ი (დირექტორი ამხ. გ. ოსოშვილი, მოადგილე პოლიტნაწილში ე. გაბრიელაშვილი) მიმდინარე წელს ჩამოყალიბდა. იგი მომსახურებას უწევს 10 კოლმეურნეობას. 29 ტრაქტორი უკვე გავიდა საგაზაფხულო ხვნაზე, 10 დღეში მოხნეს 350 ჰექტარზე მეტი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მეხუთე სატრაქტორო ბრიგადა (ხელმძღვანელი რ. მოსესოვი). ამ ბრიგადის ტრაქტორისტი ი. სულხანიშვილი პირველი გავიდა საგაზაფხულო ხვნაზე. ველისციხის კოლმეურნეობაში იგი ხვნის ყოველდღიურ დავალებას საგრძნობი გადაჭარბებით ასრულებს. ასევე დაწინაურდნენ ტრაქტორისტები ვ. კაციაშვილი და ი. ომარიშვილი. სოფელ ვაზისუბნის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში მეოთხე სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტმა გ. თადიაშვილმა 5 დღეში 28 ჰექტარი მოხნა.

მიმდინარე წლის სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის ველისციხის მტს-ი ეჯიბრება გურჯაანის მტს-ს. ველისციხელი მექანიზატორები კისრულობენ პირობით ხვნაზე გადაყვანით წელს დაამუშაონ 22 ათასამდე ჰექტარი ფართობი. აამაღლონ კოლმეურნეობებში მექანიზაციის დონე და გაზარდონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა.

შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმო

რესპუბლიკის პოლიგრაფიული მრეწველობის საწარმოებს შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გასული წლის მე-4 კვარტალის შედეგების მიხედვით პირველ ადგილზე გამოვიდა პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი" (დირექტორი შ. წიწვიაძე, პარტბიუროს მდივანი გ. ჩხაიძე, ადგილკომის თავმჯდომარე გ. ბატიევი).

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა კომბინატის კოლექტივს კვლავ დაუტოვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და მიაკუთვნა პირველი პრემია 16.875 მანეთი.

დამახინჯებანი თელავის სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში

საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის ბიურომ 1951 წლის 12 ივლისს განიხილა საქვაჭრობის თელავის განყოფილების 1950 წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის დოკუმენტალური რევიზიის შედეგები. ბიუროს დადგენილებაში აღნიშნულია: „როგორც საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მიერ საქვაჭრობის თელავის განყოფილებაში ჩატარებული რევიზიის შედეგად იქნა დადგენილი, განყოფილების მმართველის ამხ. ს. კალაიშვილის, მმართველის მოადგილის ამხ. მ. ფეიქრიშვილისა და მთავარი ბუხჰალტრის ამხ. ა. კობიაშვილის მოუქნელი და უყაირათო მუშაობის გამო 1950 წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა განყოფილებამ დაამთავრა არადამაკმაყოფილებლად".

რაიკომის ბიურომ მიიღო ორგანიზაციული ზომებიც. საქვაჭრობის თელავის განყოფილების მმართველს ს. დ. კალაიშვილს სავაჭრო ქსელისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის, უყაირათობის, უგეგმო დანაკარგების დაშვებისა და საქონელბრუნვის გეგმის შეუსრულებლობისათვის გამოუცხადა საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით. ამასთანავე გააფრთხილა, რომ თუ უახლოეს ხანში არ გარდაქმნიდა განყოფილების მუშაობას, მოიხსნებოდა თანამდებობიდან და დაედებოდა უფრო მკაცრი პარტიული სასჯელი. მთავარი ბუხჰალტერი ა. კობიაშვილი გაფრთხილებულ იქნა, რომ თუ ერთი თვის განმავლობაში არ გარდაქმნიდა მუშაობას, მოიხსნებოდა თანამდებობიდან და მიეცემოდა პასუხისგებაში.

მას შემდეგ 7 თვე გავიდა. საქვაჭრობის თელავის განყოფილების ხელმძღვანელებმა მალე დაივიწყეს პარტიის თელავის რაიკომის ბიუროს მიერ მიცემული სერიოზული გაფრთხილება და კვლავ უყაირათოდ ეკიდებოდნენ სახელმწიფო ქონებას, უფრო შესუსტეს კონტროლი დახლის მუშაკებისადმი, თვალი აარიდეს ვაჭრობის წესების დარღვევის, ფასების დამახინჯების, უფაქტურო საქონლით ვაჭრობის ფაქტებს და ამით ხელფეხი გაუხსნეს ბოროტმოქმედებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ რვა თვის მანძილზე არც პარტიის თელავის რაიკომს გახსენებია შეემოწმებინა ბიუროს დადგენილება, რომელიც საქვაჭრობის თელავის განყოფილების ხელმძღვანელებს არათუ არ შეუსრულებიათ, არამედ თავიანთი დანაშაულებრივი მოქმედება უფრო ფართოდ გაშალეს.

6 თებერვალს გაზეთ „კომუნისტის" ბრიგადამ შეამოწმა საქვაჭრობის თელავის განყოფილების № 22 მაღაზია (გამგე ვ. ჩეკურიშვილი, გამყიდველი გ. შავაძე). ამ მაღაზიაში გადამალული აღმოჩნდა სამი ცალი საბანი, აბრეშუმის ხალათი, კოვერკოტის საკოსტიუმე, დრაპის საპალტოე, შალის საკოსტიუმე, მამაკაცის წინდები და სხვა საქონელი. ამის შესახებ მაღაზიის გამგე თავის განმარტებაში წერს: „1951 წლის 12 დეკემბერს კოვერკოტის საკოსტიუმე შემანახვინა ჩვენი განყოფილების მთავარმა ბუხჰალტერმა ა. კობიაშვილმა, ხოლო მეორე საკოსტიუმე — თელავის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების გამგის მოადგილემ გ. მაღრაძემ.

მაღაზიაში ჩეკურიშვილს გადამალული აღმოაჩნდა აგრეთვე თბილისის 26 კომისრის სახელობის არტელიდან შეძენილი უფაქტურო ქამრები. იმავე განყოფილების მე-5 მაღაზიაში (გამყიდველი ს. სარქისოვი) მეორე ხარისხის ქამარი ნაცვლად 42 მანეთისა და 10 კაპიკისა იყიდებოდა 46 მანეთად და 75 კაპიკად.

შარშან თებერვალში ტომრების დანაკლისის გამო სამუშაოდან მოხსნეს საწყობის გამგე-ექსპედიტორი ნ. აივაზაშვილი. 28 თებერვალს გაფორმდა საწყობის გადაბარება. გამოირკვა, რომ საწყობში ტომრების ნაშთი უდრიდა მხოლოდ 520 ცალს. კალაიშვილი და ბუხჰალტერი კობიაშვილი ამით დაკმაყოფილდნენ. ტომრების მოძრაობის შესადარებლად თავი არ შეუწუხებიათ. გავიდა ორი თვე. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს რევიზორმა ნ. აივაზაშვილს აღმოუჩინა 6.939 ცალი ტომრის დანაკლისი, რაც შეადგენს 89.611 მანეთსა და 95 კაპიკს.

ამ ამბავმა აივაზაშვილზე უფრო მეტად დააფიქრა კალაიშვილი და კობიაშვილი, რომლებმაც საქმე რაიპროკურორს გადასცეს, მაგრამ მალე დანაკლისის დასაზუსტებლად დრო ითხოვეს, დაფაცურდნენ და აივაზაშვილს დანაკლისი საწყობში არარსებული 3.360 ტომრის ზაგოტზერნოში „ჩაბარებით" გაანახევრეს.

რისთვის „ჩაბარეს" 3.360 ცალი ტომარა, ან რატომ ატარებენ საკუთარი ზურგით ს. კალაიშვილი და ა. კობიაშვილი ტომრების დანაკლისის მთელ სიმძიმეს? — აი კითხვა, რომელმაც უნდა დააინტერესოს თელავის რაიონის პროკურატურა და მეორე უბნის სახალხო სასამართლო, რომლებიც ერთი წლის მანძილზე „იკვლევენ" და „ამძებნ" ნ. აივაზაშვილის საქმეს მაგრამ... დამნაშავე და მისი თანამონაწილენი თავისუფლად დასეირნობენ.

სამრეწველო საქონლის ყოფილმა საწყობის გამგემ ს. სარქისოვმა მომწოდებლისაგან ზედმეტად გამოგზავნილი 1.900 მანეთად ღირებული 50 ცალი სასკოლო პორტფელი, შემოსავალში გაატარა მხოლოდ მომწოდებლის დეპეშისა და ბუხჰალტრის საქმეში ჩარევის შემდეგ. ამის გამო პარტიის თელავის რაიკომის ბიურომ ს. სარქისოვი გაათავისუფლა თანამდებობიდან, საქვაჭრობის თელავის განყოფილების მმართველმა ს. კალაიშვილმაც „დასაჯა" საწყობის ყოფილი გამგე, იგი დანიშნა დამხმარე მეურნეობის დირექტორად.

საქვაჭრობის თელავის განყოფილების მუშაკების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა საავანსო ანგარიშებიდან გაუქმებულ იქნა 3.062 მანეთის ყალბი საბუთი. ამის შესახებ გასული წლის 31 მაისს კალაიშვილმა ფორმალურად დაწერა ბრძანება № 10. ამ ბრძანების შესაბამისად უკანონოდ მიღებული 3.062 მანეთიდან უნდა დაქვითოდათ მ. ფეიქრიშვილს (მმართველის მოადგილე) 512 მანეთი, ა. კობიაშვილს (მთავარი ბუხჰალტერი) 212 მანეთი, მ. არუთინოვას (ბუხჰალტერი) 512 მანეთი, შ. ბეროშვილს (საწყობის გამგე) 435 მანეთი, ი. კურდღელაშვილს (ექსპედიტორი) 994 მანეთი და ბ. ძამუკოვს (სასადილოს გამგე) 367 მანეთი. ამ საკითხზე პარტიის რაიკომის ბიურომ მთავარი ბუხჰალტრის მოადგილე მ. არუთინოვა საქვეანგარიშო თანხების არასწორად ჩამოწერისათვის თანამდებობიდანაც გაათავისუფლა. მაგრამ კალაიშვილმა რაიკომის ბიუროს მიერ დასჯილი მ. არუთინოვა არ მოხსნა სამუშაოდან. ხოლო უკანონოდ გაცემული თანხა დღესაც არ არის დაბრუნებული.

ყალბი საბუთების წარმოდგენისა და განაღდების რეკორდია დამყარებული ყოფილი ექსპედიტორის (ამჟამად მაღაზიის გამგის) ი. კურდღელაშვილის საავანსო ანგარიშებში. მმართველ ს. კალაიშვილის მიერ დამტკიცებულია და მთავარი ბუხჰალტრის ა. კობიაშვილის მიერ „გასინჯულია" ი. კურდღელაშვილის მიერ წარმოდგენილი ხელწერილები, რომლებიც 8 ათას მანეთამდე აღწევს. ყველა ეს „საბუთი" შეუმოწმებელია, ხოლო სამუშაოს შეუსრულებლები, არა მარტო საქვაჭრობის თელავის განყოფილების ხელმძღვანელებისათვის, არამედ თვით ი. კურდღელაშვილისთვისაც უცნობნი არიან. ასეთი ყალბი საბუთები აქ იშვიათი როდია. ეს საკითხიც უნდა გახდეს რაიონული პროკურატურის კვლევა-ძიების საგანი.

საქვაჭრობის თელავის განყოფილებაში ჩამოთვლილი უმსგავსოებანი იმიტაც არის გამოწვეული, რომ საქვაჭრობის დირექცია საკმაო კონტროლს არ ახორციელებს, არ იცნობს ამ ძირეულ სავაჭრო ორგანიზაციაში მომუშავე კადრებს. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ საქვაჭრობის თელავის განყოფილების მთავარი ბუხჰალტერი ა. კობიაშვილი, რომელსაც თვითონ აქვს სერიოზული დამახინჯებები, ჩამორჩენა, ანგარიშწარმოების არევდარევა, შემჩნეულია დანაშაულებრივ მოქმედებაში, გაწვეულ იქნა სხვა რაიონში სავაჭრო ორგანიზაციების „დასახმარებლად".

ვაჭრობის წესების დარღვევის, სახელმწიფო ქონების მითვისების, სპეკულაციის მიზნით საქონლის შემონახვის, გაფლანგვა-განიავებისა და მტაცებლობის ნაკლები შემთხვევები როდია სამომხმარებლო კოოპერაციის თელავის რაიკავშირის სავაჭრო ქსელში.

სამომხმარებლო კოოპერაციის თელავის რაიკავშირში (გამგეობის თავმჯდომარე ზ. ტერტერაშვილი, მოადგილე შ. მწყერაძე) 1952 წლის 1 იანვრისათვის დებიტორული დავალიანება 270 ათას მანეთს შეადგენდა. აქედან 231 ათასი მანეთი კოოპერაციული ქონების დამტაცებლებზე მოდის. მარტო წინანდლის სოფლის კოოპერატივში 1951 წელს გაფლანგვა-დატაცებისათვის პასუხისგებაში მიცემულია 6 კაცი, რომლებმაც სხვადასხვა დროს მიითვისეს 69.174 მანეთი. თელავის საგარეუბნო სოფლის კოოპერატივის სავაჭრო ქსელში 6 ბოროტმოქმედის მიერ გაფლანგულია 254.138 მანეთი.

რაიკავშირის რევიზორები და თვით რაიკავშირის გამგეობა არ ახორციელებენ სისტემატურ კონტროლს მაღაზიებისადმი, დროულად არ ავლენენ დატაცება-გაფლანგვის შემთხვევებს. დღემდე გამოვლინებული გაფლანგვა-დატაცების ფაქტები, როგორც საქვაჭრობის თელავის განყოფილებაში, ისე თელავის რაიკოოპკავშირში, ძირითადად აღმოჩენილია არა ადგილობრივი რევიზორების, არამედ [illegible] მოსული რევიზორების საშუალებით.

სამომხმარებლო კოოპერაციის თელავის რაიკავშირის სისტემაში გამოვლინებული ბოროტმოქმედებანი იმის შედეგიც არის, რომ რაიკავშირისა და სოფლის კოოპერატივის გამგეობები თვალს არიდებენ ვაჭრობის წესების დარღვევის შემთხვევებს, კერძოდ, ფასების დამახინჯებას და უფაქტურო საქონლით ვაჭრობას. გაზეთ „კომუნისტის" ბრიგადის რეიდმა მხოლოდ ერთ დღეს თელავის რაიკოოპკავშირის ქსელში გამოავლინა ასეთი ბოროტმოქმედების მრავალი აღმაშფოთებელი ფაქტი. მაგალითად, კურდღელაურის სოფლის კოოპერატივში ტყავის საფულეს ნაცვლად 137 მანეთისა და 90 კაპიკისა ჰყიდდნენ 156 მანეთად. თელავის გარეუბნის სოფლის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარემ ბ. ბიაშვილმა ეს დამახინჯება გაამართლა ფასების დაკლებისას დაშვებული ტექნიკური შეცდომით (!). იმავე მაღაზიაში გამყიდველი მ. როსტომოვი 20 მანეთად და 10 კაპიკად ღირებულ ქალის წინდებს ჰყიდდა 25 მანეთად და 10 კაპიკად. ფშაველის სასოფლო მაღაზიაში ერთი წლის განმავლობაში ფასების დამახინჯების გამო სამჯერ შეიცვალა მაღაზიის გამგე. ყოველივე ამან ვერ დააინტერესა რაიკოოპკავშირის გამგეობა, რომ ზუსტად აღერიცხა მაღაზიაში არსებული საქონელი და მისი ფასები. შემოწმებისას გამოირკვა, რომ ამ მაღაზიაში ბლომად არის ისეთი საქონელი, რომლის იარლიყი „დაკარგულია". ამის გამო აბრეშუმის ყელსახვევი, თეთრი ქურთუკები, ნარმა, შალის ხალათები, კრეპდეშინის საყელურები და სხვა მრავალი შეკერილი ტანსაცმელი იყიდება საკუთარი შეხედულებით. ასეთი ფაქტები თელავის სხვა სასოფლო მაღაზიებში იშვიათი არ არის.

წინანდლის სოფლის მაღაზიაში (გამგე ს. ხვთისიაშვილი) ბავშვის შარვალი გადაბარების აქტის მიხედვით უნდა ღირდეს 90 მანეთი და 40 კაპიკი, სინამდვილეში კი ამ შარვალს სამი ფასი აწერია. ასეთი „სამფასიანი" საქონელი ამ მაღაზიაში ბევრია. აქ ზოგიერთი შეკერილი ტანისამოსის ფასი გადაანგარიშებულია პირველი ხარისხის საქონლის კვალობაზე, ხოლო ფაბრიკის ნიშანი მეორე ხარისხს უჩვენებს.

ფშაველის სასოფლო მაღაზიაში წლების განმავლობაში აღწერის დროს ქალის მაღალხარისხოვანი ხელთათმანები ნაანგარიშევია თითო ცალი 79 მანეთად და 90 კაპიკად და არავის არ „შეუნიშნავს", რომ ამ ხელთათმანებში ურევია რომელიღაც არტელიდან მალულად შემოტანილი, კუსტარულად დამზადებული უვარგისი ხელთათმანებიც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ სასოფლო მაღაზიებში საქონელი მოუვლელი, დასვრილი, ხშირად დახეული და თაგვებისაგან დაღრღნილია. ეს, რა თქმა უნდა, აფერხებს საქონლის ბრუნვას და ზრდის ნაშთს.

გამფლანგველებს თელავის რაიკავშირის ხელმძღვანელების გარდა, ზოგიერთი მოსამართლის გულჩვილობაც უხსნის ხელფეხს. მაგალითად, 22.962 მანეთის გამფლანგველს პ. შაშიაშვილს ზემო ალვანის სახალხო სასამართლომ 3 წლით თავისუფლების აღკვეთა აკმარა. ასეთივე ლმობიერი განაჩენია გამოტანილი ა. ბეციაშვილის მიმართ, რომელსაც გაფლანგვასთან ერთად უფაქტურო საქონლის დიდი რაოდენობა აღმოაჩნდა. უცნაურია, მაგრამ სახალხო სასამართლოების ეს ლმობიერი განაჩენები ძალაში დაუტოვებია საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს.

თელავის რაიონის სავაჭრო ორგანიზაციებში არსებული დამახინჯებანი ცნობილია თელავის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილების მუშაკებისათვის (განყოფილების გამგე პ. მიქელაძე), მაგრამ ისინი ურიგდებიან ამას. პარტიის თელავის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი ხშირად მკაცრ ზომებს იღებენ სახელმწიფო და კოოპერაციული ქონების დამტაცებლების წინააღმდეგ. ეს ძალიან კარგია. მაგრამ დღემდე დასჯილები არიან მხოლოდ მეორეხარისხოვანი დამნაშავენი. მთავარი დამნაშავენი კი — საქვაჭრობის თელავის განყოფილების მმართველი ს. კალაიშვილი, მისი მოადგილე მ. ფეიქრიშვილი, მთავარი ბუხჰალტერი ა. კობიაშვილი, სამომხმარებლო კოოპერაციის თელავის რაიკავშირის თავმჯდომარე ზ. ტერტერაშვილი და მისი მოადგილე შ. მწყერაძე დღემდე დაუსჯელნი არიან და კვლავ განაგრძობენ თავიანთ დანაშაულებრივ მოქმედებას.

თელავის რაიონის სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში სათანადო წესრიგი უნდა დამყარდეს.

გ. თათარიშვილი
გ. ხინგავა
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტები

ნოვატორის გამოცდილების დანერგვის საკითხი საქალაქო კომიტეტის ბიუროზე

რუსთავი. (საკ. კორ.). ამას წინათ პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის ბიურომ ქარხანა „ზაპოროჟსტალის" მეფოლადის ს. იაკიმენკოს ნოვატორული წამოწყების წარმოებაში დანერგვის მიზნით მოიწვია თათბირი, რომელსაც დაესწრნენ ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისა და მარტენის სამქროს ხელმძღვანელი მუშაკები, ცვლის უფროსები, ოსტატები და მეფოლადეები.

თათბირზე სიტყვით გამოსულებმა—პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანმა გ. ჯობაძემ, ქარხნის დირექტორმა ნ. გომელაურმა, მთავარმა ინჟინერმა ნ. ქაშაკაშვილმა, პარტორგანიზაციის მდივანმა შ. ზედელაშვილმა, მარტენის სამქროს უფროსმა ს. შარაძენიძემ, მეფოლადეებმა შ. კუხალეიშვილმა, ნ. სამცოვმა და სხვებმა ილაპარაკეს ს. იაკიმენკოს თაოსნობის უდიდეს მნიშვნელობაზე. მეტალურგებმა გადაწყვიტეს ამ სასარგებლო ინიციატივის წარმოებაში დანერგვის მიზნით დაკვირვებით გადაესინჯათ თავიანთი შესაძლებლობანი და აეღოთ ახალი ვალდებულებანი.

25 იანვარს ეს საკითხი განიხილა საქალაქო კომიტეტის ბიურომ. ბიურომ ქარხნის პარტიულ ორგანიზაციას და ადმინისტრაციას დაავალა სისტემატურად დაეხმარონ ახალი მეთოდით მომუშავე მეფოლადეთა ბრიგადას და ხელი შეუწყონ ამ მნიშვნელოვანი ინიციატივის მეტალურგიულ წარმოებაში ფართოდ დანერგვას.

ერთი უხეირო ლექციის შესახებ

ამას წინათ ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტში საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტიდან მოვლინებულმა ლექტორმა, საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წევრმა ალექსანდრე გრიგოლის-ძე სახურიამ წაიკითხა ლექცია თემაზე: „სტახანოვური შრომის კოლექტიური მეთოდები". ლექციის თემამ, გასაგებია, დიდი დაინტერესება გამოიწვია მეშახტეებში. მას მოსასმენად მრავალი მეშახტე მოვიდა. მაგრამ ლექტორმა ვერ გაამართლა მსმენელთა იმედი. მან ლექცია ცვლის შახტში ჩაშვების წინ წაიკითხა საგანრიგოში და მან მხოლოდ 25 წუთი მოანდომა.

მსმენელები მოელოდნენ, რომ ლექტორი ღრმად გააშუქებდა სტახანოვური შრომის ინიციატორების—ა. ჩუტკიხის, თ. კოვალიოვის, ნ. როსიისკის და სხვათა პატრიოტული წამოწყების არსსა და მნიშვნელობას, განაზოგადებდა მათი მუშაობის მეთოდებს. მაგრამ ლექტორი მხოლოდ მათი გვარების ჩამოთვლითა და ზოგადი ფრაზებით დაკმაყოფილდა, არც კი ახსნა, თუ როგორ ხდება სტახანოვური შრომის კოლექტიური მეთოდების დანერგვა შახტებში, არაფერი თქვა შახტებში შრომის ორგანიზაციის ისეთ მაღალ ფორმაზე, როგორიცაა ციკლური გრაფიკით მუშაობა, ცნობილ მეშახტე ნოვატორებზე, მათს წარმატებებზე. ეს იყო ცხოვრებისაგან, სინამდვილისაგან მოწყვეტილი ლექცია.

უნდა აღინიშნოს, რომ ა. სახურიამ სამ დღეში 10 ასეთი უსარგებლო და ამავე დროს ფასიანი ლექცია წაიკითხა ტყიბულის შახტებსა და საწარმო-დაწესებულებებში.

მეშახტეები მოითხოვენ სრულფასოვან ლექციებს შრომის მოწინავე მეთოდებზე და ეკონომიკის საკითხებზე და მათი ეს კანონიერი მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოთ. საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას მოეთხოვება მეტი მზრუნველობით მიეკიდოს ლექციების ხარისხს.

ვ. ცირეკიძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

გადაჭარბებული ადმინისტრირებისათვის

ჩოხატაურის რაიონიდან სოფლკორი გვწერდა, რომ სოფელ ზემო სურების წითელი ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე გ. სანიკიძე უსაფუძვლოდ აჯარიმებს კოლმეურნეებს, ადმინისტრაციული წესით მართავს კოლმეურნეობას. არტელის წესდების სხვა მოთხოვნებსაც არღვევს, რის გამოც ბევრი კოლმეურნე უკმაყოფილოა.

წერილი გამოსარკვევად გაეგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომს. რაიკომის მდივანი ამხ. შ. ჭანუყვაძე გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ, რომელმაც არტელის წესდების დარღვევისა და გადაჭარბებული ადმინისტრირებისათვის გ. სანიკიძეს გამოუცხადა საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით.

რაიკომის ბიურომ დასახა კოლმეურნეობის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასაკირალის ჩაის ფაბრიკა—საუკეთესო ხარისხის პროდუქციის საწარმო

ნასაკირალის ჩაის ფაბრიკამ გასული სამეურნეო წელი წარმატებით დაამთავრა — 2.420 ტონის ნაცვლად მიიღო და გადაამუშავა 2.698 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი; 603 ტონის ნაცვლად გამოუშვა 705,9 ტონა პროდუქცია, გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები: ნაცვლად 0,5 ტონისა გამოუშვა 0,7 ტონა „საქართველოს თაიგული" და 8 ტონის ნაცვლად 13,4 ტონა „ექსტრა". გამოშვებულია აგრეთვე 104,7 ტონა უმაღლესი ხარისხის ჩაი, რაც გეგმის 143,4 პროცენტს უდრის. დიდი გადაჭარბებით — 125 პროცენტით შესრულდა პირველი ხარისხის ჩაის გამოშვების დავალება. შესაბამისად შემცირებულია დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვება. სულ გასაცემ ფასებში 29.773 ათასი მანეთის ნაცვლად გამოშვებულია 35.730.300 მანეთის პროდუქცია. ამასთან ფაბრიკამ შარშან 1,8 პროცენტის ნაცვლად 3,3 პროცენტით შეამცირა გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება, გასწია საწვავისა და ელექტროენერგიის ეკონომია, დაზოგა 3,2 ტონა ჩაის ფოთოლი, მიიღო მილიონობით მანეთი დაგროვება.

როგორ მიაღწია ამ წარმატებებს ფაბრიკის კოლექტივმა?

წარმოების პირველ სტადიაზე აქ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ფაბრიკის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმეს, რაც ძირითადად დადგენილი ნორმების დაცვით ნედლეულის, მასალისა და სათბობის მომარაგებაში გამოიხატება. აგროწესებით დადგენილი მოთხოვნების მიხედვით მოაწყეს ჩაის მიმღები პუნქტები, მოამარაგეს ისინი საჭირო ინვენტარით, საკმაო რაოდენობით დაამზადეს ტარა და სატრანსპორტო ყუთები, წესრიგზე მოიყვანეს ჩაის ფოთლის გადმოსაზიდი ავტომანქანები, მათ მიამაგრეს ავტომძღოლები, ყოველი მანქანა დააკომპლექტეს ჩაის ფოთლის გადმოზიდვისათვის საჭირო მუშახელით, თვითეულ ავტომძღოლს მთელი სეზონის მანძილზე დაეკისრა გარკვეული რაოდენობის ჩაის ფოთლის მიმღები პუნქტების მომსახურება. ამის შემდეგ ავტომძღოლთა და ჩაის ფოთლის გადმოზიდვაზე მომუშავე მუშებისათვის მოაწყეს საკონსულტაციო საუბრები ჩაის ფოთლის დაუზიანებლად გადაზიდვის საკითხზე.

დიდი ყურადღება დაეთმო მანქანა-დანადგარების რემონტის დროულად და მაღალხარისხოვნად განხორციელების საქმეს. ამასთანავე ფაბრიკა მომარაგებულ იქნა საკმაო რაოდენობის საფერმენტაციო ყუთებით, მომღნარი და დაგრეხილი ფოთლის გადასაზიდი ურიკებით, ბიოქიმიური ლაბორატორიისათვის საჭირო რეაქტივებითა და ჭურჭლით, საწვავით, სხვადასხვა სახის მოწყობილობით.

ჩაის ფოთლის მიმღები პუნქტების გამგეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მოეწყო ათდღიანი კონფერენციები, ტექმინიმუმის შემსწავლელი პირველი და მეორე საფეხურის წრეები. ამრიგად, სეზონის დაწყებამდე ყველა მუშამ და სპეციალისტმა ზუსტად იცოდა თავისი მოვალეობა.

დაიწყო ჩაის ფოთლის გადამუშავების სეზონი. ფაბრიკამ ისე მოაწყო საქმე, რომ პუნქტებში მიღებული ფოთლის ტრანსპორტირება ხდებოდა ინსტრუქციის შესაბამისად, რის შედეგად თავიდან აიცილეს ფოთლის მექანიკური დაზიანებისა და დანაკლისის შემთხვევები. მთავარი ყურადღება მიექცა წარმოების ტექნოლოგიური პროცესის ზუსტად დაცვას. ამ მიზნით მორიგე ტექნოლოგებს, საამქროში მომუშავეებს, ლაბორანტებს და ბრიგადირებს ყოველი ცვლის დაწყებისას არსებული მდგომარეობის შესაბამისად ეძლეოდათ კონკრეტული დავალებანი, თუ რომელი ოპერაციისათვის უნდა მიექციათ განსაკუთრებული ყურადღება. ფაბრიკის მთავარი ტექნოლოგი პ. თენეიშვილი და სპეციალისტთა კოლექტივი ზუსტ კონტროლს აწესებდნენ საწარმოო პროცესების მიმდინარეობაზე. თავიდანვე მიიღეს ზომები ჩაის ფოთლის მიმღებ ზოგიერთ პუნქტში ფოთლის მიღების ინსტრუქციის დარღვევის აღსაკვეთად.

პროდუქციის ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს საწარმოო სანიტარიის წესების ზუსტად დაცვა. ამ მიზნით აქ წარმოების პერიოდში მოეწყო სანიტარული მინიმუმის შემსწავლელი კურსები, რომელიც 80 მუშამ და სპეციალისტმა დაამთავრა.

ფაბრიკაში დიდი ყურადღება ექცევა საწარმოო თათბირებს, რომლებსაც გულდასმით ამზადებენ და თვეში ერთხელ იწვევენ. თათბირზე მუშებსა და სპეციალისტებს აცნობენ გეგმის შესრულების შედეგებს, ავლენენ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს და სახავენ ღონისძიებებს მათი გამოსწორებისათვის.

ფაბრიკის ამ წარმატებებში დიდია პირველადი პარტიული ორგანიზაციის როლი. პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად მსჯელობს წარმოების საკითხებზე და სახავს საჭირო ღონისძიებებს.

ფაბრიკის წარმატებებს განაპირობებს ცვლებსა, საამქროებსა, ბრიგადებსა და მუშებს შორის ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრების შედეგებს ყოველდღიურად ამოწმებენ და აცნობენ მუშებს.

შემდგომი სტადია არის გამოშვებული პროდუქციის დანიშნულებისამებრ სწრაფად გაგზავნა და მისი ღირებულების საწარმოსათვის დაბრუნება, ანუ პროდუქციის რეალიზაცია. ამ მიმართულებით მუშაობა ისეა ორგანიზებული, რომ მზა პროდუქცია საამქროში შეუფერხებლად იფუთება გამოშვებული პროდუქცია და დაუყოვნებლივ იგზავნება დანიშნულებისამებრ. შეფერხების თავიდან აცილების მიზნით წინასწარ ეგზავნება განაცხადი რკინიგზის სადგურს ვაგონების მიწოდებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ფაბრიკის ამ წარმატებებში განსაკუთრებული წილი უდევს იმ ცვლას, რომელსაც მიხეილ ღლონტი ხელმძღვანელობს. აღნიშნული ცვლა მესამე წელია ინარჩუნებს საფაბრიკო გარდამავალ წითელ დროშას. ფაბრიკის მოწინავე ადამიანთა რიგებში არიან ო. მარუშიაკი, ნინო ხინთიბიძე, ქსენია პოჩენიუკი, ევდოკია გაიდუკოვა, მარო გოდოვანეცი, ინჟინერი პ. შრამკო, დამხარისხებელი საამქროს უფროსი ა. დარჩია, ლაბორანტი ქეთო გოგუა, ავტომძღოლები ვ. გაფრინდაშვილი, გ. შარაშიძე და სხვები.

ამჟამად ნასაკირალის ჩაის ფაბრიკა ყოველმხრივ მომზადებულია ახალი სეზონისათვის.

ვ. ჯაჯელი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

დიღმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა. სურათზე: აგროტექნიკოსი ვ. ხხირტლაძე და მუშა ნინო ხოროკინა (წინა პლანზე) აწყობენ შპალერს.

ფოტო რ. აკოფოვისა

ერთი კოლმეურნეობის საანგარიშო კრებაზე

მახარაძე. (სპეც. კორ.). კოლმეურნეთა აქტივობით, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა სოფელ მერიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის საანგარიშო კრებამ. კოლმეურნეებმა ინტერესით მოისმინეს კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. გ. მუჯირის მოხსენება 1951 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

კოლმეურნეობაში გაიზარდა ფულადი და ნატურალური შემოსავალი. თუ 1950 წელს ფულადი შემოსავალი 5 მილიონ 200 ათას მანეთს შეადგენდა, 1951 წელს მან 5 მილიონ 600 ათას მანეთს გადაამეტა. წინა წელთან შედარებით თვითეულ ჰექტარზე ჩაის მოსავლიანობა გადიდდა 288 კილოგრამით. თვითეულ შრომადღეზე კოლმეურნეებს ერგოთ 24 მანეთი და 4,2 კილოგრამი მარცვლეული. კოლმეურნეები შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ.

სამსონ ჩანჩიბაძის ოჯახი ნაყოფიერად შრომობს. მას 1951 წელს გამომუშავებულ შრომადღეებზე ერგო 43.000 მანეთი და 5 ტონაზე მეტი მარცვლეული. ისაკი ღლონტის ოჯახმა მიიღო 38.000 მანეთი, 4 ტონაზე მეტი მარცვლეული. გრიგოლ კეჭეყმაძის ოჯახმა მიიღო 4 ტონა მარცვლეული და ფულად — 35.000 მანეთი. კოლმეურნეობაში მარტო პრემია-წანამატის სახით გასცეს 285.000 მანეთი.

კოლმეურნეობამ გასულ წელს ყველა სახის სახელმწიფო დავალება გაანაღდა. ამასთან ერთად წარმატება აქვთ საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეშიც. შარშან აშენდა მინერალური სასუქის საწყობი 150 ტონის ტევადობისა. აშენდა ახალი საწყობი, რომელშიც 200 ტონა მარცვლეული ეტევა. კოლმეურნეობას ერთი აბანო ჰქონდა, მაგრამ იგი ვერ აკმაყოფილებდა კოლმეურნეთა მოთხოვნილებას. კოლმეურნეობამ გადაწყვიტა მეორე აბანოს აგება. მისი მშენებლობა შარშან დამთავრდა. კოლმეურნეობაში აშენდა მეფრინველეობის სტანდარტული ბინა, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის კაპიტალური სადგომი და სხვ.

კრებაზე მოწონება დაიმსახურეს მეორე, მეშვიდე, მეათე ბრიგადების (ბრიგადირები ა. მარგალიტაძე, ვლ. გელაძე, გრ. მუჯირი) მუშაობის შედეგებმა. ასევე წარმატება მოიპოვეს ლუბა ვასაძის, ვილა ჩავლეიშვილის, ლუბა გიორგის ასულ ვასაძის, გოგოლა კეჭეყმაძის, ქსენია გობრონიძის და სხვების რგოლებმა.

კოლმეურნეობის საანგარიშო კრებაზე აღინიშნა ნაკლოვანებანიც. მოკამათეებმა მკაცრად გააკრიტიკეს კოლმეურნეობის გამგეობა და მეცხოველეობის დარგის მუშაკები, რომლებმაც ცუდი მუშაობის შედეგად ვერ შეასრულეს წველადობის გეგმა. საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 460 ლიტრი რძე, ნაცვლად 860 ლიტრისა. კოლმეურნეობის გამგეობას უსაყვედურეს, რომ სათანადო ყურადღებას არ აქცევდა სოფლის გზების კეთილმოწყობას, ელექტროფიკაციის საკითხებს და სხვ.

კოლმეურნეთა საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო, ხოლო სარევიზიო კომისიის აქტი დაამტკიცა. კოლმეურნეებმა თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ამხ. გ. მუჯირი და დასახეს ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საანგარიშო კრების შემდეგ გაძლიერდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ტემპი. უკვე მთავრდება ჩაის პლანტაციების გადაბარვა. მიმდინარეობს ნიადაგის მომზადება ერთწლიანი კულტურების დასათესად, აკეთებენ საპლანტაციო გზებს, ამაგრებენ ღობეებს, ტუნგოს პლანტაციებში შებარვასთან ერთად შეაქვთ მინერალური სასუქები, აგროვებენ ადგილობრივ ნაკელს. კოლმეურნეები ემზადებიან გაზაფხულზე 18 ჰექტარი ციტრუსების და 12 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაციების გასაშენებლად.

საბჭოთა მშენებლობა

რაისაბჭოს აღმასკომი და მისი განყოფილებები

ლაგოდეხის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის (თავმჯდომარე ამხ. პ. ბუცხრიკიძე) მთელი რიგი განყოფილებები კარგად მუშაობენ. ყოველ კვარტალში ერთხელ აღმასკომის სხდომაზე ამტკიცებენ განყოფილებათა გეგმებს. გეგმებში გათვალისწინებული საკითხების უმრავლესობა დროზე და მოფიქრებულად სრულდება, მაგრამ ამასთან ერთად არის განყოფილებები, რომლებიც ფორმალურად უდგებიან გეგმის შედგენას, სუსტად იბრძვიან მისი განხორციელებისათვის, ხოლო აღმასკომის ხელმძღვანელობა და დახმარება ამ განყოფილებებისადმი არასაკმაოა.

ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება აღმასკომის ერთ-ერთი დიდი განყოფილებაა. მას ექიმი ამხ. ნ. სულხანიშვილი ხელმძღვანელობს. განყოფილების სამუშაო გეგმის მიხედვით სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ სადგურთან შეიქმნა პასტერიზაციის პუნქტი; ხშირად ამოწმებენ ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესრულებას ცალკეულ კოლმეურნეობებში, კვების ობიექტებში; ეწყობა დიფტერიის საწინააღმდეგო აცრა სკოლებში და სხვ. ეს კარგია, მაგრამ იგივე არ ითქმის განყოფილების გეგმაში შეტანილ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. გასული წლის მესამე კვარტალის გეგმის მიხედვით უნდა გახსნილიყო 4 საკოლმეურნეო სამშობიარო სახლი. ამავე კვარტალის გეგმაში ამ სამშობიარო სახლების მუშაობის შემოწმებაც კი გაითვალისწინეს. ფაქტიურად სამშობიარო სახლები არც ერთ კოლმეურნეობაში არ გახსნილა. რაიონული სამშობიარო სახლი ჯერ კიდევ 1949 წელს უნდა გაეხსნათ. დღემდე ეს საქმეც მოუგვარებელია. გეგმა ითვალისწინებდა აგრეთვე რაიონული საავადმყოფოს მშენებლობას, რაც დღემდე არ დაუწყიათ. დღემდე არც სამკურნალო დაწესებულებათა რემონტი დაუმთავრებიათ.

რაისაბჭოს აღმასკომი ხშირად იხილავს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის საკითხებს. შარშან აღმასკომმა განიხილა სოფელ შრომის და საქობოს სამკითხველოების, ყარსუბნისა და ბაისუბნის კლუბების, ჭაბუკიანის, სარაიონო და საბავშვო ბიბლიოთეკების მუშაობის საკითხი. რაიონში სულ 6 ბიბლიოთეკა (მათ შორის ერთი სადაბო) და 13 კლუბია. მიუხედავად რაიაღმასკომის მიერ დასახული მთელი რიგი ღონისძიებებისა, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განყოფილების (გამგე ამხ. ბ. ოქროშიძე) საქმიანობა კვლავ მოისუსტებს. დაბალია ლექციური პროპაგანდის დონე. უფრო მეტიც. ხშირია განყოფილებასთან არსებული ლექტორთა ჯგუფის გეგმით გათვალისწინებული ლექციების ჩაშლის შემთხვევები. მაგალითად, მიმდინარე წლის იანვარში კოლმეურნეობებში ლექციები უნდა წაეკითხათ ლექტორებს შ. ჭინჭარაძეს, ა. თოფურიას, ც. ავაქოვას, გ. გოგოლაძეს, ა. რეხვიაშვილს, გრ. წიქარიშვილს, ნ. ქათამაშვილს, გ. გოგიშვილს და სხვ. მაგრამ მათ ლექციები დროზე არ მოამზადეს. ამის გამო იანვარში არც ერთი ლექცია არ წაკითხულა. ამავე თვეში არ მოუწვევიათ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა რაიონული სემინარი.

რაიონში 13 საკლუბო შენობიდან ვარგისია მხოლოდ 4-5, დანარჩენს გადაკეთება ან ახლად აშენება უნდა. ხელახლა ასაშენებელია ვარდისუბნის კლუბი. როგორც ვარდისუბნის, ისე ბაისუბნისა და ყარსუბნის კლუბები საწრეო მუშაობას დაქირავებულ ოთახებში ეწევიან.

არ ზრუნავენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მათს მეტ ნაწილს დაბალი განათლება აქვს.

რამდენიმე სიტყვა რაისაბჭოს აღმასკომთან შექმნილი შედარებით ახალი განყოფილების — კინოფიკაციის განყოფილების (გამგე ამხ. ბ. ზურიკაშვილი) შესახებ. ეს განყოფილება საწარმოო-საფინანსო გეგმებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს და ხშირად ფულად ჯილდოებსაც იღებს. 1951 წელს კინოსეანსების ჩვენების გეგმა შესრულდა 101,2 პროცენტით. მაგრამ მარტო გეგმის შესრულება როდი კმარა. მოსახლეობის კინომომსახურების ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია. მოუწესრიგებელია კინომომსახურება რაიონის ცენტრს დაშორებულ სოფლებში. ნაკლებად ეწყობა კინოსეანსები სოფლებში ორჯონიკიძეში, ლელიანში და სხვაგან. რაიონის ცენტრში კინოთეატრის შენობაც კი არ აუშენებიათ. კინოფილმებს უჩვენებენ ყოფილ სასადილოს შენობაში. კინოფიკაციის განყოფილებას აქვს მხოლოდ 5 დანადგარი და 2 ავტომოძრავი კინო. რაიონის სოფლებში ნაკლებად უჩვენებენ ახალ კინოფილმებს, დოკუმენტალურ სურათებს, მათ შორის სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათისას, რაც „გლავკინოპროკატის" გურჯაანის განყოფილების სუსტი მუშაობით აიხსნება.

რაისაბჭოს აღმასკომის ზემოხსენებულ განყოფილებათა ეს ნაკლოვანებანი გამოწვეულია უმთავრესად იმით, რომ სუსტია აღმასკომის დახმარება და კონტროლი აღნიშნულ განყოფილებათა სამუშაო გეგმების შესრულებისადმი; დაბალია განყოფილებების გამგეთა პასუხისმგებლობის გრძნობა. რაიაღმასკომის მუშაობის პრაქტიკაში შემოღებული არ არის აღმასკომის სხდომაზე განყოფილებათა გამგეების საანგარიშო მოხსენების მოსმენა. არ იწვევენ განყოფილებათა გამგეების თათბირებს ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხზე და სხვ.

რაისაბჭოს აღმასკომს ყველა შესაძლებლობა აქვს აღმოფხვრას აღნიშნული ნაკლოვანებანი, უფრო ოპერატიულად და კონკრეტულად უხელმძღვანელოს თავის განყოფილებებს.

ს. არღუნელი
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

მეცხოველეთა მეგობარი

შორს არის ქარჩოხი. ლენინგორიდან ჩრდილოეთისაკენ წასულმა მგზავრმა ბევრი ხევი უნდა გაიაროს, მთები გადალახოს, რომ ამ მაღალმთიან სოფელში მოხვდეს.

ორიოდე წლის წინათ გვიანი შემოდგომის ერთ დღეს ამ გზით მიდიოდა ცხენოსანი ქალიშვილი. ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა იგი ცაში ამაყად აღმართულ მთებს, გატაცებით უსმენდა მთის დაუდეგარი მდინარის ხმაურს. მგზავრს თავისი სიცოცხლის ოცი წელი ქართლის ველებზე ჰქონდა გატარებული. პირველად უხდებოდა მგზავრობა გოლიათი მთების სიღრმეში.

ცხენოსანს ხშირად ხვდებოდნენ მგზავრები. შავგვრემანი ქალიშვილი თავაზიანად მიესალმებოდა მთიელებს და თან ჰკითხავდა:

— კიდევ შორს არის ქარჩოხი?

მგზავრები გაკვირვებით შეხედავდნენ ხოლმე ცხენოსანს. ეს გაკვირვება იმით როდი იყო გამოწვეული, რომ ქალიშვილს ცხენზე ხედავდნენ, ყველა მთიელ გოგონას ხომ კარგად ემარჯვება ცხენით მგზავრობა. სხვა იყო შემხვედრთა გაკვირვების მიზეზი. ამ მშვენიერი ხეობის მკვიდრნი ერთი ოჯახის წევრებივით იცნობდნენ ერთმანეთს, ეს ცხენოსანი ქალიშვილი კი არასოდეს არ ენახათ თავიანთ ხეობაში.

ვინ იყო იგი?

ეს იყო მაყვალა ხმიადაშვილი გორის რაიონის სოფელ ტირძნისიდან. ქალიშვილს ქ. სტალინირის ზოოტექნიკუმი დაემთავრებინა და ლენინგორის რაიონის შორეული ქარჩოხის სასოფლო საბჭოს უბნის ზოოტექნიკოსად დაენიშნათ. შინაურებმა ეს ამბავი რომ შეიტყეს, მეზობლებში მოიკითხეს — ქარჩოხში ხომ არავინ ყოფილხართო.

მაყვალამ შინაურებს ყოყმანი შეატყო. მიხვდა, მთავარი აქ მისი სიტყვა იყო, ამიტომ მტკიცედ განაცხადა:

— ზოგიერთი რამ ვიცი ქარჩოხის შესახებ. იქ ძირითადად მეცხოველეობას მისდევენ. სწორედ ასეთ ადგილზეა საჭირო ჩემი პროფესიის ადამიანი...

სულ ახლახან, ზამთრის ერთ ჩვეულებრივ დღეს მაყვალა ხმიადაშვილთან ერთად მგზავრობა მოგვიხდა ქსნის წარმტაც ხეობაში. ჩვენ მოწმე ვიყავით, როგორ გულთბილად მიესალმებოდა მაყვალას გზად შემხვედრი თითქმის ყველა მთიელი.

— მართალს ვიტყვი, — გვითხრა მაყვალამ, — პირველად ვფიქრობდი, რომ ამ მთებში ყოფნა გამიძნელდებოდა. მაგრამ ახლა მგონია, თითქოს აქ, ქარჩოხში დავიბადე, აქ გავატარე ბავშვობის წლები, ამ კეთილ მთიელებთან გავიზარდე.

მოვალეობისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით, ბეჯითი შრომით კომკავშირელმა ხმიადაშვილმა პატივისცემა დაიმსახურა ქარჩოხის სასოფლო საბჭოს მშრომელთა შორის.

ის ქარჩოხში ჩასვლის პირველი დღიდანვე მეცხოველეთა მეგობარი გახდა. როცა ზოოტექნიკოსს ვთხოვეთ განემარტა, თუ როგორ იყენებს იგი სამუშაო დროს, საუბარში ჩაერია ერთი კოლმეურნე:

— მაყვალას ღამეც შეხვდებით მეცხოველეობის ფერმებში, იგი განთიადზე მრავალჯერ გვინახავს მთის ბილიკზე ცხენით მიმავალი...

უბნის ზოოტექნიკოსი სამუშაო დროს თითქმის მთლიანად მეცხოველეებთან ფერმებში, მთებში ატარებს. ტექნიკუმში მიღებული ცოდნის უნარიანად გამოყენება, პრაქტიკული მუშაობის დროს საქმის ღრმად დაკვირვება, შეუნელებელი ზრუნვა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მას შესაძლებლობას აძლევს სასახელოდ ასრულებდეს დაკისრებულ მოვალეობას.

ცხოვრება, ხალხი დიდი მასწავლებელია. ზოოტექნიკოსი ადამიანებს, რომელთა შორის მას უხდება შრომა, ყოველთვის გულისხმიერად უგდებს ყურს, აქტიურად უჭერს მხარს მათს ყოველ სასარგებლო წინადადებას.

ძველ, გამოცდილ მეცხვარეებს სჯეროდათ მაყვალა ხმიადაშვილის სიტყვა, რჩევა. ისინი პრაქტიკულად არაერთხელ დარწმუნდნენ ზოოტექნიკოსის რჩევის მიხედვით მუშაობის სარგებლიანობაში. ამიტომ ფასი დასდეს მაყვალას სიტყვას.

იყო ასეთი შემთხვევა. სოფელ მიდელაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში მატყლის პირველი პარსვის შედეგები რომ შეაჯამეს, ფერმის გამგემ, განთქმულმა მეცხვარემ ვასო ქენქაძემ მაყვალას უთხრა:

—გამოდის, რომ წელს მატყლის მიღების გეგმას ვერ ვასრულებთ!

—როგორ? ჯერ ხომ მეორე პარსვა არ დაგიწყიათ, წინასწარ ხომ არ შეიძლება შევურიგდეთ აზრს, რომ თითქოს გეგმას ვერ შევასრულებთ. გეგმა კანონია — იგი უნდა შესრულდეს!

მეცხვარეობის ფერმის გამგეს ზოოტექნიკოსის სიტყვებში მარტოოდენ სურვილი რომ არ დაენახა, მაყვალამ ვასო ქენქაძეს შეაკრებინა მეცხვარეები. ქალიშვილმა მათთან საინტერესო საუბარი გამართა, უთხრა, რომ იალაღზე ცხვარი სუფთად უნდა ინახებოდეს, დაუსახელა ადგილი, სადაც უნდა მოწყობილიყო ფარეხი. ცხვრის სუფთად და მშრალად შენახვა მატყლის ნაპარსის გადიდების ერთ-ერთი მთავარი პირობაა. შემდეგ შეეხო საძოვრის სწორად გამოყენების აუცილებლობას. დარწყულების რეჟიმის დაცვას.

— საძოვრებზე, სადაც თქვენი ცხვარი იქნება, — ეუბნებოდა მწყემსებს მაყვალა, — ადგილ-ადგილ ეკლნარია. თუ ამ ეკლებისაგან არ გავწმინდეთ იალაღი, ასეთ ადგილებში ცხვრის გაშვებით შევამცირებთ მატყლის რაოდენობას და ხარისხსაც გავაუარესებთ...

მხოლოდ საუბრის მოწყობით არ დაკმაყოფილებულა ზოოტექნიკოსი. იგი ხშირად ხვდებოდა მეცხვარეებს და რჩევას აძლევდა დაეცვათ მუშაობაში ზოოვეტერინარული წესები.

მაყვალამ თავჩინებს და მეცხვარეებს დაურიგა ბროშურები იმის შესახებ, თუ როგორ მოუარონ ცხვარს იალაღზე, ასწავლა ადამიანებს, როგორ მოემარჯვებინათ წიგნით მიღებული ცოდნა პრაქტიკული მუშაობის დროს.

მკვეთრად გაუმჯობესდა მეცხვარეთა დამოკიდებულება საქმისადმი. მოწინავე მწყემსმა ილო მიდელაშვილმა თქვა:

— ლაჭაურის მთებში არაერთხელ გვითქვამს: მეცხვარეებს კარგი დობილი გვყავს მაყვალას სახით. რა კარგად იცის ცხვრის ასავალ-დასავალი მაგ დალოცვილმა!

შრომაში განვლო მთელმა ზაფხულმა. ცხვრის მეორე პარსვა დროზე მოეწყო. ფერმის გამგემ ვასო ქენქაძემ დაკვირვებით შეაჯამა მიღებული მატყლის რაოდენობა. შედეგებმა საერთო აღფრთოვანება გამოიწვია. წლის განმავლობაში თვითეულ ცხვარზე გეგმით გათვალისწინებული 2,8 კილოგრამის ნაცვლად 3,5 კილოგრამი საუკეთესო ხარისხის მატყლი მიიღეს.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სოფელს 6.555 სული ცხვარი ჰყავს (გეგმით გათვალისწინებული 6.310 სულის ნაცვლად), ნათელი გახდება კოლმეურნეობის სერიოზული გამარჯვება.

სოფელ ლომისის კოლმეურნეობა „დამკვრელში" მისვლის დროს ზოოტექნიკოსს თამამად წარუდგინეს საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის სულადობრივი ზრდის მაჩვენებელი ცნობა.

— ეს კარგია, — უთხრა მაყვალამ ლომისელ მეცხოველეებს, — მაგრამ ვნახოთ, აი მაგალითად, როგორ არის მეძროხეობის ფერმაში წველადობის საქმე.

ფერმის გამგეს სითამამე გაქრა. მან ძლივს გასაგონად განაცხადა, რომ ამ მხრივ საამაყო არაფერი აქვთ.

— ახლა ჩვენი ერთ-ერთი მთავარი საქმე პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებაა,—განუცხადა ლომისელებს მაყვალამ.

შემდეგ პრაქტიკულად დახმარა მუშაობის გარდაქმნაში, ასწავლა ლომისელ ქალებს ძროხის წველადობის გადიდების შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენება...

და აი ამას წინათ ლომისაში შეაჯამეს მეძროხეობის ფერმაში წველადობის წლიური შედეგები. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 913 ლიტრი რძე.

ახლა ზოოტექნიკოსი აქტიურად მუშაობს საბჭოში შემავალი სხვა კოლმეურნეობების მეძროხეობის ფერმებში ლომისელთა მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვისათვის.

ერთ დღეს ზოოტექნიკოსი ხმიადაშვილი ესტუმრა სოფელ ბალაანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმის გამგეს გიორგი ბალაშვილს. დაათვალიერა ფერმა. ვიწრო, ატალახებულ სადგომში სავალალო მდგომარეობა იყო.

ბალაშვილმა თავი იმართლა, მთის კოლმეურნეობებისათვის მეღორეობის განვითარება ხელსაყრელი არ არისო...

— დოჩიანის ტყეში ყოფილხარ? — მიმართა ფერმის გამგეს მაყვალა ხმიადაშვილმა. როცა დასტური მიიღო, განაგრძო — მაშინ ისიც გეცოდინებათ, ის ტყე სულ მუხნარი და წიფლნარია.

მიუხვდა ფერმის გამგე ზოოტექნიკოსს. თან ფიქრობდა: წიფლისა და რკოს იმედით როგორ შეიძლება გაბედულად მოვკიდოთ ხელი მეღორეობის განვითარებასო. ხმიადაშვილმა განუმარტა:

— ჩვენ მეღორეობის ფერმაში დავიცავთ ზოოვეტერინარულ წესებს. დიდძალი რკოთი და წიწიბურით, რაც უსასყიდლოდ იშოვება, შეგვიძლია შევქმნათ მეტად კარგი საკვები ბაზა და ტყის მიერ ასე გულუხვად მოცემული ნაყოფი კოლმეურნეობის შემოსავლის წყაროდ ვაქციოთ.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ხმიადაშვილმა სიტყვას საქმე მოაყოლა. ზოოტექნიკოსის რჩევას კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ ყური დაუგდო. ბალაანში მეღორეობის ფერმისათვის ახალი, კარგი სადგომი ააგეს. ამასთან ახლა ღორებისათვის სხვა ულუფასთან ერთად იყენებენ რკოს, წიწიბოს და სხვ.

ახლა ბალაანის კოლმეურნეობის ფერმაში ღორები გეგმით გათვალისწინებულზე თითქმის ერთიორად მეტი ჰყავთ.

ხმიადაშვილთან ხშირად მიდიან მთიელები. მას იწვევენ ფერმის მუშაკთა შორის ლექციების წასაკითხავად. ახლახან ხმიადაშვილმა ჭორჭოხის კოლმეურნეობის მეძროხეობას ფერმის მუშაკთა შორის მოაწყო საუბარი თემაზე — „როგორ შევინარჩუნოთ მთლიანად ნამატი". ეს საუბარი ხმიადაშვილმა მჭიდროდ დაუკავშირა ადგილობრივ ფაქტებს. ჭორჭოხელებმა მისი დახმარებით მოამზადეს წინაპირობები ნამატის მოვლა-პატრონობის საუკეთესოდ დაყენებისათვის.

ახლა ხმიადაშვილს ხშირად შეხვდებით სოფელ ჭორჭოხისაკენ, ლომისისაკენ, მიდელაანისაკენ ცხენით მიმავალს, ხოლო ზაფხულში მეცხოველეებთან ერთად შრომობს ვარნუთის, კვირისქედის, ოხირის, დოჩიანის მთებში.

ხეობის საუკეთესო მეცხოველეები მათე გამხიტაშვილი, გიორგი ბალაშვილი, ვასო პავლიაშვილი, ილო გულაროვი ხშირად მიმართავენ ზოოტექნიკოსს რჩევა-დარიგებისათვის. ქალიშვილს თავისი სახელის ასე მაღალი შეფასება ავალებს მეტი დაკვირვება გამოიჩინოს მუშაობაში, განუწყვეტლივ ისწავლოს. ზოოტექნიკოსის სამუშაო მაგიდაზე ნახავთ ჩვენი სასიქადულო მგოსნის აკაკი წერეთლის ლექსების ტომებს, გამოჩენილი საბჭოთა მწერლების ბევრ წიგნს. ღამით დიდხანს არ ქრება შუქი ზოოტექნიკოსის სამუშაო ოთახში. მაყვალა კითხულობს წიგნებს, მდიდრდება ცოდნით, რომ ხვალ უკეთესად მოეხმაროს მთიელებს მათს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრაში.

შრომობს და ცხოვრობს მაღალმთიან ქარჩოხში ზოოტექნიკოსი მაყვალა ხმიადაშვილი. მეცხოველეთა მეგობარი ქალიშვილი სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში პოულობს ჭეშმარიტ სიხარულს.

ვლ. ველაშვილი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ოტო გროტევოლის გამოსვლა პრეს-კონფერენციაზე ბერლინში

ბერლინი, 14 თებერვალი. (საქტასი). დღეს გერმანული და უცხოეთის პრესის წარმომადგენლებისათვის ბერლინში გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ოთხი დიდი სახელმწიფოსადმი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიმართვას გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების დაჩქარების შესახებ. პრეს-კონფერენციას დაესწრნენ სახალხო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე იოჰანეს დიკმანი, პრემიერ-მინისტრი ოტო გროტევოლი, პრემიერ-მინისტრის მოადგილეები დოქტორი ბოლცი და დოქტორი ლოხი, საგარეო საქმეთა მინისტრი დერტინგერი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხვა წევრები, აგრეთვე დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს სამდივნოს თავმჯდომარე კენენი.

პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა პრემიერ-მინისტრი ოტო გროტევოლი. მან გამოაქვეყნა ოთხი დიდი სახელმწიფოსადმი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიმართვის ტექსტი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების დაჩქარების შესახებ და ამასთან განაცხადა, რომ ამავე დროს ამ მიმართვის ტექსტი გაეგზავნა ბონის მთავრობას, რათა მან თავის მხრივ მხარი დაუჭიროს ამ მიმართვას დასავლეთის სახელმწიფოების წინაშე.

შემდეგ ოტო გროტევოლმა მოიხსენია ის მიზეზები, რომლებმაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აიძულეს უშუალოდ მიემართნა ოთხი დიდი სახელმწიფოსათვის.

1945 წელს, თქვა გროტევოლმა, გერმანიამ უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადა და იკისრა შეესრულებინა ყველა მოთხოვნა, რაც კი მას მაშინ წაუყენეს ან შემდეგში წაუყენებდნენ. გერმანელმა ხალხმა დაიწყო იმ საშინელ დანაშაულთა გამოსყიდვა, რომლებიც ჰიტლერულმა გერმანიამ ჩაიდინა ხალხის დასტურით ან ბრმა მორჩილებით. გერმანიის ანტიფაშისტური მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული ძალები გერმანელ ხალხს მაშინ მიუთითებდნენ, რომ იგი თავიდან ვერ აიცილებს პასუხისმგებლობას ჩადენილი დანაშაულისათვის. ისტორიის წინაშე, ჩვენი ხალხის აწმყოსა და მომავლის წინაშე ამ პასუხისმგებლობის მიხედვით, ეს ძალები მაშინ, აღიარებდნენ რა ვალდებულებებს რეპარაციების შესახებ, ცდილობდნენ თვით გერმანიაში შეექმნათ ისეთი პირობები, რომლებიც სამუდამოდ გამორიცხავენ გერმანიის მხრივ სხვა ხალხთა მიმართ აგრესიის საფრთხეს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, განაგრძო ოტო გროტევოლმა, თავისი არსებობის პირველი დღიდანვე თავის პოლიტიკას საფუძვლად დაუდო იალტისა და პოტსდამის გადაწყვეტილებათა პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფენ გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობის აღდგენას დემოკრატიულ საფუძველზე. ყველასათვის ცნობილია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიებანი, რომელთა მიზანია გერმანიის ამ ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობისათვის მზადება თვით გერმანელთა შორის შეთანხმების საფუძველზე. მაგრამ ჩვენმა ღონისძიებებმა ვერ ჰპოვეს დასავლეთ გერმანიის პოლიტიკური ცხოვრების ოფიციალურ წარმომადგენელთა ის აქტიური მხარდაჭერა, რისი იმედიც გვქონდა, მაგრამ ამ წარმომადგენელთა პოზიცია დასავლეთ გერმანიის პარლამენტსა და მთავრობაში მკვეთრად ეწინააღმდეგება გერმანელი ხალხის უაღრესად ფართო ფენების, შემიძლია კიდეც ვამტკიცო — გერმანელი ხალხის უმრავლესობის—თვალსაზრისს.

აღნიშნა რა, რომ „ევროპის თავდაცვაში" დასავლეთ გერმანიის მონაწილეობის საკითხზე ბონის პარლამენტის უკანასკნელ კამათის დროს ადენაუერის რეზოლუციას ხმა მისცა მხოლოდ 204 დეპუტატმა, წინააღმდეგ კი 156 დეპუტატმა, ოტო გროტევოლმა თქვა: ხმისმიცემის შედეგები ცხადყოფენ, რომ ბონის პარლამენტში არ არის ერთსულოვნება, აგრეთვე ფაქტია, რომ ბონის პარლამენტი არ გამოხატავს გერმანელი ხალხის ინტერესებს.

ამხილა რა ეგრეთწოდებულ „ევროპის თავდაცვაში" დასავლეთ გერმანიის მონაწილეობის საკითხზე ბონის პარლამენტის გადაწყვეტილების ანტიეროვნული არსი, გროტევოლმა განაცხადა: ბონის პარლამენტის გადაწყვეტილება მოწმობს, რომ ბონში ამ საკითხზე არ არსებობს ერთიანი და ნათელი პოზიცია, რომელიც შეეფერებოდეს ხალხის ინტერესებს. ამასთან გროტევოლმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა საომარ მზადებაში დასავლეთ გერმანიის მონაწილეობა ბონის მთავრობას შეუძლია განახორციელოს მხოლოდ სასტიკი პოლიტიკური ტერორით დასავლეთ გერმანიის ყველა დემოკრატიული და პატრიოტული ძალების წინააღმდეგ, რომელთაც გერმანიის კომუნისტური პარტია მეთაურობს.

მაგრამ ცხადია, განაგრძო გროტევოლმა, რომ მოქმედება იწვევს წინააღმდეგობას და ხალხის ეს წინააღმდეგობა სულ უფრო ძლიერი ხდება. დასავლეთ გერმანიის პრესაში სულ უფრო აშკარად და გაბედულად გმობენ ადენაუერის პოლიტიკას. დასავლეთ გერმანიის ყველა ნაწილში მოსახლეობის უაღრესად სხვადასხვა ფენაში ჩნდება ფართო სახალხო საპროტესტო მოძრაობა ბონის ხელისუფალთა პოლიტიკის წინააღმდეგ. დასავლეთ გერმანიის მოსახლეობა ფართოდ უჭერს მხარს გერმანიის კომუნისტური პარტიის ლოზუნგს „ძირს ადენაუერის მთავრობა!" და მხურვალედ იწონებს სახალხო პალატის წინადადებებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ შემუშავებული მთელი გერმანიის საარჩევნო კანონის პროექტის საფუძველზე სრულიად გერმანიის თათბირის მოწვევის შესახებ.

დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის პოლიტიკისა და საომარი მზადების წინააღმდეგ ხალხის საპროტესტო მოძრაობაში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე საეკლესიო და ბურჟუაზიული წრეების თვალსაჩინო წარმომადგენლები. მაგალითისათვის გროტევოლმა დასახელა დასავლეთ გერმანიის ყოფილი მინისტრი ჰაინემანი, რომელმაც ამას წინათ პრესაში განაცხადა, რომ რემილიტარიზაციის წინააღმდეგ გერმანელი ხალხის საპროტესტო მოძრაობამ ძირიანად შეარყია ბონის „სახელმწიფო" და რომ დასავლეთ გერმანიაში იწყება „სახელმწიფო კრიზისი".

გაიხსენა რა ბონის ხელისუფალთა იმ სეპარატული პოლიტიკის ძირითადი ეტაპები, რომლის მიზანია დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია, გერმანიის გათიშვის გაღრმავება და დასავლეთ გერმანიის ჩათრევა აგრესიულ სამხედრო პაქტებში და აღნიშნა რა ბონელ რევანშისტთა გაძლიერებული სამხედრო პროპაგანდა დასავლეთ გერმანიაში, რისი გარდუვალი შედეგიც შეიძლება იყოს მხოლოდ გერმანელთა შინა ომი, გროტევოლმა განაცხადა:

„ეს გერმანული პოლიტიკა როდია. გერმანელი ხალხი ამას ინსტინქტურად გრძნობს. დასავლეთ გერმანიის ასეთი პოლიტიკა ამერიკის პოლიტიკაა; იგი გერმანიას მცდარ გზაზე აყენებს. მას მივყავართ სამხედრო პაქტებისა და სამხედრო ავანტიურებისაკენ, იმისაკენ, რომ გერმანიას აქცევენ საომარი მოქმედების ასპარეზად, რის შედეგიც იქნება გერმანიის დანგრევა. გერმანელმა ხალხმა ეს იცის. ეს ყალბი გზაა. გერმანული პოლიტიკის გზას, და ასეთია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თვალსაზრისი, უნდა მივყავდეთ ჩვენი სამშობლოს მშვიდობიანი მშენებლობისაკენ, მან უნდა დარაზმოს და გააერთიანოს ყველა ძალა მთელ გერმანიაში, და ერთიან გერმანიაში ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ განვახორციელოთ მეზობელ ხალხებთან და ყველა სხვა იმ ხალხთან ურთიერთგაგების სამშვიდობო პოლიტიკა, რომლებსაც სურთ აღიარონ გერმანიის თანასწორუფლებიანობა. იმ პოლიტიკის საშუალებით, რომელიც გერმანული კი არა, ამერიკის პოლიტიკაა, სურთ დაგვაყენონ ისეთ გზაზე, რომელსაც ომში დაღუპვისაკენ მივყავართ. ჩვენ ამით სრულიადაც არა ვართ დაინტერესებულნი. ჩვენ წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ ამას".

აღნიშნა რა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის იმ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია გერმანელთა შორის შეთანხმების მიღწევა, ჯერ კიდევ არ მოუციათ შედეგი და რომ ამბები, რომლებიც უკანასკნელ დროს დასავლეთ გერმანიაში მოხდა, ბონის მმართველი წრეების მძიმე პოლიტიკურ კრიზისს მოწმობენ, ოტო გროტევოლმა დასასრულ თქვა:

„ვხელმძღვანელობთ რა ამით, საჭიროდ მიგვაჩნია ახლა განვუცხადოთ მოკავშირეებს, რომ მათ უნდა გაიხსენონ თავიანთი საკუთარი გადაწყვეტილებანი და გადადგან ის ნაბიჯი, რომელზეც ჩვენს მიმართვაში ვწერთ—მისცენ გერმანელ ხალხს საზავო ხელშეკრულება. ჩვენ არა გვგონია, რომ ამ თხოვნით შეგვიძლია ზიანი მივაყენოთ მსოფლიოს რომელიმე ხალხს. თუ შვიდი წლის ოკუპაციის შემდეგ გერმანელი ხალხი ერთსულოვნად იმაღლებს ხმას და მოითხოვს, ბოლოს და ბოლოს, დადონ მასთან საზავო ხელშეკრულება, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მსოფლიოს ხალხები გაგვიგებენ.

თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის საზავო ხელშეკრულებას, ეს ვაცნობეთ მიმართვაში მთავრობებს. მტკიცედ დარწმუნებული ვართ, რომ მოკავშირეები მოგვცემენ შესაძლებლობას დავდოთ საზავო ხელშეკრულება. ამავე დროს შეიქმნება აგრეთვე პირობები, რისთვისაც მტკიცედ ვიბრძოდით მრავალი წლის განმავლობაში — რათა გერმანია გადაიქცეს ერთიან მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოდ, რომელიც შეძლებს დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე ააგოს თავისი მომავალი, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხის შინაგან დარაზმვას, ეკონომიურ აღმავლობას და მსოფლიოს ყველა ხალხთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას. ასეთი საზავო ხელშეკრულების დადების შედეგად რომ ერთბაშად იქნება შესაძლებელი ბოლო მოეღოს რემილიტარიზაციის პრობლემას, ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რადგან გერმანელ ხალხს რემილიტარიზაცია არა სურს. ასეთ საზავო ხელშეკრულებაში, რომელიც გერმანიას დაუბრუნებდა ხმის უფლებას საკუთარი ბედის გადაწყვეტაში, ერთდროულად ნათქვამი იქნებოდა, რომ გერმანია არ განახორციელებს რემილიტარიზაციას და რომ გერმანია ეცდება გაერთიანებას, რაც მას საშუალებას მისცემს ყველა ხალხთან მშვიდობით აშენოს თავისი მომავალი.

პრეს-კონფერენციის დასასრულს ოტო გროტევოლმა და მთავრობის სხვა წევრებმა უპასუხეს პრესის წარმომადგენელთა მრავალ კითხვაზე.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 14 თებერვალი. (საქტასი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 14 თებერვალს გამოაქვეყნა ცნობა:

სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან თანამოქმედებით ყველა ფრონტზე განაგრძობენ თავდაცვით ბრძოლებს.

დღეს თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის ორი თვითმფრინავი იმ თვითმფრინავთაგან, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ვონსანის, ნამფხოს და სუქჩხონის რაიონებზე თავდასხმებში.

კორეის ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის სხდომა

ფხენიანი, 13 თებერვალი. (საქტასი). კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ ამ დღეებში გაიმართა ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა. სხდომაში მონაწილეობა მიიღეს კიმ დუ ბონმა, პაკ ხენ ენმა, პაკ დენ აიმ, პაკ ჩან ოკმა და ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრებმა, მოსმენილ და განხილულ იქნა პაკ ხენ ენის მოხსენება კორეაში დაზავებაზე მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ. მოხსენების გამო მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილება. მიღებულია აგრეთვე ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის ბიუჯეტის პროექტი.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 14 თებერვალი. (საქტასი). გუშინ საფრანგეთის ეროვნულ კრებაში გრძელდებოდა კამათი ეგრეთწოდებული „ევროპის არმიის" შექმნის საკითხზე. რეაქციული პარტიების წარმომადგენლები და მთავრობის წევრები ყოველნაირად ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ეს არმია საჭიროა, და არწმუნებდნენ, თითქოს აღნიშნული წამოწყება საფრანგეთის „უმთავრესი" ინტერესებს ემსახურება.

„ევროპის არმიის" შექმნის გეგმები მწვავედ გააკრიტიკეს კომუნისტმა დეპუტატებმა. დეპუტატმა როზა გერენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა ფრანგი ქალი ილაშქრებს „ევროპის არმიის" წინააღმდეგ, რომელიც დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შერმაა. „ჩვენ,—თქვა მან,—ფიცსა ვდებთ მთელი ჩვენი ძალღონე დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლას მოვახმაროთ. იცავენ რა თავიანთი შვილების სიცოცხლესა და ბედნიერებას, ფრანგი ქალები მტკიცედ ილაშქრებენ დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ, „ევროპის არმიის" წინააღმდეგ, ორწლიანი სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ".

„ევროპის არმიის" მომავალი შექმნის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს აგრეთვე კომუნისტმა დეპუტატებმა მალრე-ჟუენვილმა და ფრანსუა ბიიუმ.

ეროვნული კრების გუშინდელი საღამოს სხდომის დასასრულს სხვადასხვა პარტიამ წარადგინა რეზოლუციის რამდენიმე სხვადასხვა პროექტი „ევროპის არმიის" საკითხზე. მაშინ, როცა კომუნისტური პარტიისა და პროგრესულ რესპუბლიკელთა კავშირის დეპუტატების პროექტი გადაჭრით გმობს „ევროპის არმიას" და „მთავრობისაგან მოითხოვს უარი თქვას გერმანიის შეიარაღებაზე, რა სახითაც უნდა ხდებოდეს იგი", რეაქციული პარტიების პროექტები იწონებენ ამ იდეას.

პრემიერ-მინისტრმა ედგარ ფორმა მხარი დაუჭირა რეაქციული დეპუტატების ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეზოლუციას და ამასთან დაკავშირებით დასვა ნდობის საკითხი კენჭისყრა მოხდება 16 თებერვალს.

„ჩვენ მშვიდობიანი შრომა გვსურს და არ გვინდა ვიმუშაოთ ომისათვის"

ლონდონი, 14 თებერვალი. (საქტასი). ინგლისში ფართოვდება საპროტესტო მოძრაობა მშრომელთა ცხოვრების დონეზე კაპიტალისტთა შეტევისა და გამალებული შეიარაღების პოლიტიკის წინააღმდეგ. როგორც „დეილი უორკერი" იუწყება, ბრიჯტონის (გლაზგო) შრომის ბირჟაზე 100 უმუშევარმა ქალმა პარლამენტის წევრს (ამ საარჩევნო ოლქიდან) გაუგზავნა წერილი, რომელშიც წერენ: „ჩვენ გვსურს მშვიდობიანი შრომა და არ გვინდა ვიმუშაოთ ომისათვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახლანდელი მდგომარეობა გამოწვეულია უმთავრესად ხელახალი შეიარაღებით, და გთხოვთ მოიმოქმედოთ ყოველივე შესაძლებელი, რათა მიაღწიოთ სამოქალაქო შეკვეთებს, რომლებიც მუშაობას უზრუნველყოფენ ჩვენთვის".

საპროტესტო რეზოლუციაში, რომელიც მშრომელებმა ქალაქ სტოკ-ონ-ტრენტში (დარემის საგრაფო) მიტინგზე მიიღეს, ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ინგლისისათვის საარსებოდ მნიშვნელოვანია მშვიდობის პოლიტიკის განხორციელება.

პროტესტი მთავრობის იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომ შეამციროს ხარჯები სოციალურ ღონისძიებებზე, განაცხადეს აგრეთვე ნანტონის (სტაფორდშირი) პროფკავშირთა საბჭომ, რკინიგზელთა ეროვნული პროფკავშირის განყოფილებამ ბასილდენში (მონმუტშირი), სუინდონის პროფკავშირთა საბჭომ (უილტშირი), ლემინგტონისა და უორიკის (უორკშირი) პროფკავშირთა საბჭოებმა.

კომპარტიის 15 ხელმძღვანელის გასამართლება კალიფორნიის შტატში

ნიუ-იორკი, 14 თებერვალი. (საქტასი). ორი კვირის წინათ ლოს-ანჯელოსის ფედერალურმა სასამართლომ დაიწყო კალიფორნიის შტატში კომპარტიის ორგანიზაციის იმ 15 ხელმძღვანელის „საქმის" გარჩევა, რომლებსაც წაყენებული აქვთ ბრალდება „სმიტის კანონის" დარღვევაში. ამ კანონით ისჯება ეგრეთწოდებული „ძირგამომთხრელი საქმიანობა".

პრესის ცნობების თანახმად, სასამართლოში უმთავრესად წარმოებს თეორიული მსჯელობა მოსაზრებათა გაცვლა დაცვასა და მოსამართლეს შორის იმის შესახებ, აქვს თუ არა ძალა დღემდე ბრალდების მიერ წარდგენილ დამამტკიცებელ საბუთებს, საბელდობრ: საერთო ბრალდებას, რომ ბრალდებულნი შეთქმულნი არიან; მრავალ ციტატას, რომლებიც ამოღებულია მარქსიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა და კომპარტიის ბროშურათა კონტექსტიდან; ერთი ინფორმატორის ჩვენებას.

როგორც გაზეთი „პიპლს უორლდი" გადმოგვცემს, დამცველებმა საეჭვოდ გახადეს ბრალდება შეთქმულებაში, რაც თითქმის სიტყვა-სიტყვით გამეორებაა ფოლი-სკვერში კომპარტიის 11 ლიდერის საქმეზე ინსცენირებულ გასამართლებაში პროკურორის გამოსვლისა.

სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის სამდივნოს გადაწყვეტილება ჩრდილოეთ იტალიაში სტუდენტთა საზამთრო ბანაკის შექმნის შესახებ

პრაღა, 14 თებერვალი. (საქტასი). სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის პრესისა და ინფორმაციის განყოფილება იუწყება, რომ სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის სამდივნომ იტალიის იმ სტუდენტთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, რომელიც სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის წევრია, გადაწყვიტა ჩრდილოეთ იტალიაში—სესტრიერში გახსნას სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის საზამთრო ბანაკი. ბანაკი გაიხსნება 9 მარტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. სამთო-სამშენებლო ტექნიკუმის ახლადდამთავრებული შენობა ფალიაშვილის ქუჩაზე. შენობის ამ კორპუსში მოთავსებული იქნება სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

თბილისის პირველობა ჭადრაკში

მეთოთხმეტე ტური

მეთოთხმეტე ტურში, რომელიც 14 თებერვალს შედგა, განსაკუთრებით საინტერესო იყო ა. ებრალიძისა და ჰ. არნშტეინის შეხვედრა. კარო-კანის დაცვაში ა. ებრალიძემ პოზიციური უპირატესობა მიიღო. შემდეგ მან ძლიერი კომბინაციური იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის მეფეზე და 30-ე სვლაზე ლამაზად მოიგო პარტია.

ა. ბუსლაევმა გ. გაჩეჩილაძესთან პარტიის დასაწყისშივე მოიგო პაიკი, მაგრამ შემდგომში გ. გაჩეჩილაძემ შეძლო უკეთესი მდგომარეობის მიღება. ცაიტნოტში ა. ბუსლაევი კარგად თამაშობდა, მოიგო ხარისხი და პარტია გადადო ადვილად მოსაგებ პოზიციაში.

მოკლე, მაგრამ მწვავე თამაშით აღინიშნა ნ. ტიმოფეევ—ვ. ტუგარინოვის შეხვედრა. გამოუვალი შამათის გამო 28-ე სვლაზე ვ. ტუგარინოვმა თავი დამარცხებულად ცნო.

ო. წოწოლაშვილმა ო. ელიოზიშვილის წინააღმდეგ კარგად გაითამაშა მხედრების დებიუტი და საგრძნობი უპირატესობა მიიღო, მაგრამ პარტიის გადამწყვეტ მომენტში ვერ მონახა თამაშის სწორი გაგრძელება და მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ო. ელიოზიშვილმა საუცხოოდ ითამაშა პარტიის მეორე ნახევარი და გამარჯვებას მიაღწია.

გ. გამრეკელ—ა. ჯაკობიას პარტიაში გათამაშებულ იქნა რთული დებიუტი — ალიოხინის დაცვა. ორივე მოწინააღმდეგე არ ერიდებოდა პოზიციის გართულებას. ა. ჯაკობიას გ. გამრეკელმა ცაიტნოტში მოუგო ფიგურა და 39-ე სვლაზე პარტიაც.

გ. თაბორიძემ მოუგო ა. ბლაგიძეს. ვ. ალამალიან—ა. დავრანიანის პარტია გადადებულია პირველისათვის მოსაგებ მდგომარეობაში.

თოთხმეტი ტურის შემდეგ წინ არიან: ა. ბუსლაევი და ო. ელიოზიშვილი — 8 ქულა თვითეულს და თითო გადადებული პარტია, ოსტატ ა. ებრალიძეს—7 ქულა და ორი გადადებული პარტია.

ქართველ მწერალთა ნაწარმოებნი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

უკანასკნელ წლებში სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა ენებზე გამოცემულია ქართული ლიტერატურის კლასიკოსებისა და ქართველი საბჭოთა მწერლების მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაწარმოებნი. სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ქართული ლიტერატურის უკვდავი ძეგლის—შ. რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნისადმი". პოემა უკვე გადაითარგმნა და გამოიცა ჩინურ ენაზე. ახლა მის თარგმნაზე მუშაობენ პოლონეთში — ცნობილი პოეტი ი. ტუვიმი და ჩეხოსლოვაკიაში — დოქტორი ი. ედლიჩკა.

ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთსა, ბულგარეთსა და რუმინეთში გამოცემულია გ. ლეონიძის პოემა „სტალინი. ბავშვობა და ყრმობა". რუმინეთში, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში გამოვიდა ლ. ქიაჩელის რომანი „მთის კაცი", ბულგარეთში გამოცემულია ამავე მწერლის რომანი—„გვადი ბიგვა".

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამხ. კონსტანტინე გიორგის-ძე სოხაძე დაინიშნა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრად. (საქტასი).

ლექცია

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება 18 თებერვალს, 8 საათზე, მასწავლებლის სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) აწყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ს. ჟორჟენაძის საჯარო ლექციას თემაზე: **„საბჭოთა სამართალი შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდის იარაღია".**

კესხოველის სახელობის საქალაქო პარკაბინეტში

16 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, მოხსენებლებისა და პროპაგანდისტებისათვის შედგება ამხ. ლ. გეგეშიძის საინსტრუქციო მოხსენება თემაზე: **„საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 34 წლისთავი" და „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 31 წლისთავი".**

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი — მოწინავე — რკინიგზის ტრანსპორტის ზუსტი მუშაობისათვის.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტში და სსრ კავშირის მწერალთა კავშირში. დარბაზობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში. რუსული ლიტერატურის გენიოსი.

საერთო სათაურით „სახელოვანი თარიღების შესახვედრად" წერილები: დაზგათმშენებელთა ინიციატივა. მოწინავე მეცხოველეები. შახტა, რომელმაც პირველობა მოიპოვა. ტყიბულელი მეშახტეების წარმატება.

მეორე გვერდი — პარტიული ცხოვრება — კომუნისტები და საანგარიშო-საარჩევნო კრება. ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება. ა. კუმარიტოვი — რაიკომის გვერდით.

სახალხო მოსამართლეებისა და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მუშაკების რესპუბლიკური თათბირი.

წარმოების ნოვატორთა გამოცდილებიდან — ქუთაისელ მანქანათმშენებელთა და მეცნიერ მუშაკთა თანამეგობრობა.

მესამე გვერდი — საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ხელშეკრულების მეორე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა პეკინში.

ბ. ქორქია — ზამთარი ბაკურიანში.

მკითხველთა წერილები.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია — ი. გრიშაშვილის ლექსების თარგმანი.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში

ბერლინი, 14 თებერვალი. (საქტასი). ადნ-ის სააგენტო იუწყება:

13 თებერვალს გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელზეც სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიმართვის მიღების შემდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ბონის ფედერალური მთავრობის წარმომადგენელს გადაეცეს შემდეგი წერილი:

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობას ბონში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დღეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებულ სამეფოს, აგრეთვე საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობებს გაუგზავნა დანართში მოყვანილი მიმართვა, რომლითაც სთხოვს მათ დააჩქარონ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მოელის, რომ ფედერალური რესპუბლიკის მთავრობა შეუერთდება ამ წინადადებებს, რომლებიც შეესაბამება გერმანელი ხალხის სურვილებსა და ინტერესებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი ო. გროტევოლი
ბერლინი, 1952 წ. 13 თებერვალი.

არჩევნები ირანში

თეირანი, 14 თებერვალი. (საქტასი). როგორც გაზეთი „ირანი" იუწყება, ირანის ბევრ ქალაქში მეჯლისის დეპუტატთა არჩევნებს თან ახლავს სისხლისმღვრელი შეტაკებანი პოლიციასა და მოსახლეობას შორის. მოვიდა ცნობები ქალაქ ჰორემშეხრში, ჰაშში, ყუმში, აჯაბშირში, გულპაიგანში, ჰანსარში, ნიშაპურში მომხდარ შეტაკებათა შესახებ. შეტაკებათა შედეგად არიან მოკლულნი და დაჭრილნი.

ნიშაპურში, მეშჰედის მახლობლად, გაზეთების ცნობებით, პოლიციამ სროლა აუტეხა ხალხს ამასთან მოკლულ იქნა 10 კაცი და ბევრი დაიჭრა. გაზეთ „დადის" ცნობით, ვერამინის რაიონში გუშინ პოლიციამ აგრეთვე სროლა აუტეხა ხალხს, რომელიც პროტესტს აცხადებდა არჩევნების მოწყობის მეთოდების წინააღმდეგ. როგორც გაზეთი იუწყება, არიან დაჭრილნი, ერთი კაცი მოკლულ იქნა.

„დადი" აგრეთვე იუწყება, რომ მღელვარებაა ქალაქებში კუჩმარში, ბირჯანდში, ბენდერ-აბასსა და ქერმანშაჰში.

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

17 თებერვალს

6.25 — ქართული ხალხური სიმღერები. 7.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები. 11.10 — საცეკვაოები. 11.30 — „პიონერთა დაფიონის" საკვირაო გამოშვება. 12.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 16.00 — რადიოჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება" № 59. 16.45 — ქართული ხალხური სიმღერები. 17.20—კონცერტი ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტთა მონაწილეობით. 17.45 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 19.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. 19.15 — კონცერტი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტების მირცხულავას და კირვალიძის შესრულებით. 20.30 — რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დ. ოისტრახის კონცერტი. 20.45 — კონცერტი სტალინური პრემიის ლაურეატის დ. გამრეკელის შესრულებით. 21.00 — საუბარი: ჩინელი ხალხის ბრძოლა მშვიდობისა და სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისათვის. 22.30—ს. ჩიქოვანის ლექსები გურამიშვილზე (წაიკითხავს რესპუბლიკის სახალხო არტისტი უშანგი ჩხეიძე). 22.50 — საბალეტო მუსიკის კონცერტი. 00.05 — საესტრადო მუსიკა.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ტოსკა (დ. დონატოვის მონაწილეობით, მე-5 აბ.); **რუსთაველის სახელობის** — ყაჩაღები; **მარჯანიშვილის სახელობის** — მისი ვარსკვლავი; **გრიბოედოვის სახელობის** — ჭკუა-მზრახებელი (32-ე, 33-ე აბ.); **სომხური დრამის** — სოსი და ვარდითერი; **მუსკომედიის**—სამთა სიყვარული (მე-8 აბ.); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კიკვიძე (52-ე აბ. 8 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული**—დუბროვსკი (7 ს.); **სანკულტურის** — საპატიო სტუმარი; **ცირკი** — დიდი საცირკო წარმოდგენა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის **ა. რაზმაძის სახელობის თბილისის მათემატიკის ინსტიტუტი** აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1952 წლის 27 თებერვალს, დღის 3 საათზე აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8, მეორე სართული) **საბა აბრამის-ძე ტერსენოვი** დაიცავს დისერტაციას ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„Колебания пологих цилиндрических оболочек".**

ოფიციალური ოპონენტები ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ა. რუხაძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი დ. ხარაზოვი.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8, მესამე სართული).

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოსოფიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1952 წლის 27 თებერვალს, დღის 2 საათზე № 93 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 1) პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **გივი ტრიფონის-ძე ნიორაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„საბჭოთა ლიტერატურის სწავლების შინაარსი და ძირითადი ეტაპები ქართულ საშუალო სკოლაში".**

ოფიციალური ოპონენტები პროფესორი-დოქტორი დ. ლორთქიფანიძე, პროფესორი-დოქტორი მ. ზანდუკელი, მეცნიერების კანდიდატი დოცენტი ს. ჭილაია.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, „ამირანი", „თბილისი", „ისანი" — გაფრენით მიკადოს საიმპერატორო კარს; **„ოქტომბერი", „სპარტაკი", „26 კომისრის სახელობის**—ველის შვილი; **„კომკავშირელი"** — მტკიცე ხასიათის ქალიშვილი; **„კოლმეურნე"** — ვეფხვი აკბარი; **„კოლხიდა"**—უკანასკნელი ღამე; **„დიდუბე"** — საჰაერო მეეტლე.

მოქალაქე ხელიმ გუსეინის ასულმა კრიმჩეევამ, მცხოვრებმა პლეხანოვის პროსპ. № 100, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **გაბრიელ მნაცაკანის-ძე კალანტაროვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის I ინსტანცია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრა იუწყება **ალექსი სამსონის-ძე ხიდეშელის** გარდაცვალებას. გამოსვენება 16-II, 5 ს. სამთავისის, 9.

მეუღლე კონსტანტინე, შვილი გულნარა, სიძე გიორგი ნადირაძე და შვილიშვილი მარინე იუწყებიან, რომ 17-II, 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **მარიამ რომანის ასულ ჯაფარიძე-წიწივაძის** პანაშვიდი.

მეუღლე ლიუდმილა, შვილები გალუნი, იუზა, ბელა იუწყებიან, რომ 17-II, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ალიოშა ნიკოს-ძე კოპლატაძის** პანაშვიდი.

მეუღლე თალიკო, შვილები სონია, მარგო, ანიკო, ლენა, სიძეები პ. მხითარიანი, თ. მაზარიანი შვილებით იუწყებიან, რომ 17-II, 4 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **არტემ აგაჯანოვის** პანაშვიდი.

დედა ნინო, დედამთილი სოფიო აბშილავა, შვილები ეთერ, ვლადიმერ, მაზლები გაბრიელ, იროდიონ, გიორგი, მულები მარუსია, ზინა, ლიდა დემურიები ოჯახებით იუწყებიან **მარიამ მიხეილის ასულ დემურიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-II, 7 ს. გამოსვენება 21-II, 5 ს. კრწანისის, 16.

მეუღლე ოლღა, შვილები თინა, ირაკლი, მარინე, მიხეილ, რძლები ტატიანა, მარიამ, შვილიშვილი ადიკო, და ელისაბედ გულისაშვილი, ძმები იუსტინე, ბესარიონ ოჯახებით იუწყებიან **გიორგი ირაკლის-ძე აბულაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-II როკითში (მაიაკოვსკის რაიონი).

თამარ, არჩილ და ეთერ ბაგრატიონები იუწყებიან რძლის **თამარ მინას ასულ ბირკაძის** გარდაცვალებას.

რძალი ნიუტა, ძმისწულები გივი, იადიკო, გივია ჯულელები, ქორა, თამაზ, ნინელ კაპანაძეები, ნინო, ტატო ჯიშკარიანები იუწყებიან **ხეფო მოსეს ასულ ჯულელი-ბეშკენაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 17-II, 3 ს. ნიკოშვილის, 24-ა.

დედა გუგუ, მამა პლატონ, და ლეილა, დედები შოუ, მარიამ, ბაბუა ანდრო, მამიდა ლიზა, ბიცოლა ოლღა შვილებით იუწყებიან **კარლო პლატონის-ძე კვაშილავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17-II, 8 ს. გამოსვენება 19-II, 6 ს. ქობულეთის, 14.

დედა ოლღა, ძმა ვახტანგ, რძალი მარო, ძმისწული თამარ სუმბაძეები, და თამარ, სიძე კონსტანტინე, დისწულები მერაბ, გუგა კაპაროიძეები იუწყებიან, რომ 17-II, 3 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **გიორგი ნიკოლოზის-ძე სუმბაძის** პანაშვიდი.

შვილები მიხეილ, პაშა, სერგო, დავით, მარგალიტა, დარეჯან, რძლები თამარ, თინა, ელენე, სიძეები კ. ხუჭუა, ვ. მგალობლიშვილი, პ. კანკავა შვილებით იუწყებიან **პიკტი ერისთავი-გრიგოლიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 8 ს. დაკრძალვა 19-II, 5 ს. ირაკლის მოედანი, 1.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00138